“ვეფხისტყაოსნის” ავტორის მსოფლმხედველობისათვის ბევრი რამ ითქვა[1], მაგრამ მკვლევარნი ვერ შეთანხმებულან. არც საკვირველია. “ვეფხისტყაოსანში” ასახულია ავტორის დროის (და უწინარესის) სწავლა და ცოდნა, შეეხება იგი ცასა თუ ქვეყანას, რელიგიასა თუ ფილოსოფიას, ზნე-ჩვეულებასა თუ ყოფა-ცხოვრებას, ხელოვნებასა თუ ლიტერატურას, სასახლისკარო ეთიკას თუ სამხედრო ტაქტიტკას, - ერთი სიტყვით, “ვეფხისტყაოსანი” ულეველი საუნჯეა და დაუშრეტელი წყარო.

ეს გარემოება კადნიერგვყოფს, გავუზიაროთ “ვეფხისტყაოსანის” მკითხველთ (უფრო მკევლევართ) ჩვენი შემთხვევითი დაკვირვებანი ამ ჭეშმარტად “ობოლი მარგალიტის” ავტორის მსოფლმხედველობისათვის. კადნიერება ჩვენი საყრდენს პოულობს, ერთის მხრით, საქართველოს კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის აგვისტოს 20 დადგენილებაში, რომლის ცენტრალური მომენტი “ვეფხისტყაოსანის” ტექსტის დადგენაა[2], ხოლო მეორის, მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარის სიტყვაში, “ვეფხისტყაოსანზე” საკვლევა-საძიებო მუშაობა არავისთვის გამორიცხული არის და უდავო უნდა იყოს ის გარემოება, რომ არც ერთ ჯგუფს, არც ერთ კოლეგას, არც ერთ კორპორაციას არ აქვს უფლება მონოპოლია გამოაცხადოს “ვეფხისტყაოსნის” კვლევა-ძიებაზე[3]. მკვლევართა უმეტესი ნაწილის აზრით, “ვეფხისტყაოსანი” არაქრისტიანული ნაწარმოებია, რის გამო იგი იყო აღკრძალვის ქვეშ ქართველი საწოგადოების კლერიკალურად განწყლბილ წრეებში და განიცდიდა დევნას ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნიდან[4]. მაშასადამე, თუ “ვეფხისტყაოსანი” არაქრისტიანული ნაწარმოებია, ცხადია, მისი ავტორის მსოფლიომხედველობაც არაქრისტიანულია. ხოლო “ვეფხისტყაოსანი” რომ არაქრისტიანული ნაწაროებია, ამბობენ, ამის საბუთია:

ა)ის, რომ ჟამთააღმწერელს (XIV საუკუნის მწერალს) “ჰერეთისა ერისთავი შოთაჲ, რომელსა კუპრობით (სარწმუნოებიდან განდგომილად) უხმობდენ” მიაჩნია “ არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელ” ადამიანად[5]. და ამის გამო (თითქოს) მის მიერ დაწერილი “ვეფხისტყაოსანი”, ცხადია, უნდა მიუღებელი ყოფილიყო კლერიკალურად განწყობილი ქართველი საზოგადოების წრეებისათვის.

ამ დებულების სახელმძღვანელოდ მიღებას ხელს უშლის ორი რამ: 1) ჯერ დამტკიცებული არ არის, რომ ჰერეთის ერისთავი შოთა არის “ვეფხისტყაოსანის” ავტორი, და 2) რომ კუპრი ანუ კუპარი “არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებლობასთან” დაკავშირებით, უეჭველად ნიშნავს ორთოდოქსალური სარწმუნოებიდან და ქრისტიანული ეკლესიიდან განდგომილს. მაგრამ წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ კუპრი (შავი) არის “ვეფხისტყაოსნის” ავტორი და იმავე დროს “არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი” ადამიანი. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჟამთააღმწერლის ასეთი დახასიათება შოთამ დაიმსახურა

“ვეფხისტყაოსანის” დაწერისათვის? “ჟამთაამღწერელი, ამბობს თვით რუსთველიანას ავტორი[6], დიდად განათლებული პირია... როგორც ლიტერატურული ნაწარმოები ჟამთააღმწერლის თხზულება ნამდვილ შედევრს წარმოადგენს... (თავის) კეთილშობილი სტილით და ისტორიული ხილვის პათოსით”. ამისთანა კაცი, რომელიც დაშორებული იყო რუსთველს[7] ერთი საუკუნით მაინც, ვისი დაწერილიც არ უნდა იყოს “ვეფხისტყაოსანი”, მას უარყოფით ვერ შეხვდებოდა და დევნის საგნად ვერ აღიარებდა, - მარტო შოთას სტილი და ენა მოხიბლავდა მას! მაგრამ, ამბობენ[8], “ჟამთაღმწერელი რელიგიური პიეტეტის სფეროში შეურიგებელია და მოურიდებელი, იგი არ ინდობს არათუ უბრალო სახელმწიფო მოღვაწეებს, არამედ მეფეებსაც”. სრული სიმართლეა! გარნა რით არის გამოწვეული ეს შეურიგებლობა-მოურიდებლობა? ყური ვათხოვოთ ბრალდებულს: ლაშა გიორგი, წერს ჟამთააღმწერელი[9], იყო “ყოველთა მეფეთა უმეტეს უხუი და არვისთუის მოშურნე, მლოცველ, მმარხველ და მოწყალე, და გამკითხველ, არამედ უკანასკნელ მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთათა... სმამან მღერასა და სიღოდასა (საბასთან ნახე) და ნაყროვანებამან სიბილწესა უმეტეს გარდარია... მეფეცა რუსუდან ჩუეულებითა წესსა ძმისა თუისისასა (ლაშა გიორგისა) ვიდოდა განცხრომითა და სიმღერითა... იწყეს უძღებებაჲ დაგანცხრომაჲ ყოველმან ჰასაკმან და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ”. სიღოდა და ნაყროვანება, სმა და მღერა რომელი რელიგიის პიეტეტია?!

ნათქვამს უნდა დაემატოს: ისტორიკოსი მეტად დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანის ყოფა-ქცევას, ზნეობას. სარწმუნოებრივ სხვაობას კი ჟამთააღმწერელი უფრო ლმობიერად ეპყრობა, რასაც ცხადყოფს მისი სიტყვები საქართველოს მოსისხლე მტრების (მონღოლების) შესახებ[10]: “ამათ აქუნდათ სჯულად ერთისა ღმრთისა უკუდავისა თაყუანისცემა, პირი მზისა აღმოსავლეთით ქმნიან და სამის ჩოქისა და სამჯერ თაყუანისცემა და შუათითისა წუერისა ნებსა ზედა დადება და დატკაცუნება და სხვა მეტი არარაჲ”. მიუხედავად ასეთი სჯულისა, რომელიც ჟამთააღმწერელს მაინცა და მაინც არ უნდა მოსწონებოდა, აი რა ქებით იხსენიებს იგი[11] მონღოლებს მათი ზნეობისათვის: “მცირე მეტყუელება და ტყუვილი სიტყუა ყოვლადვე არა იყო მათ შორის, არა თუალახუნიან პირსა კაცისასა, არცა დიდსა და არცა მცირესა, უმეტეს საბჭოთა შინა”.

ეჭვს გარეშეა, თქმა – “არარათა ნიჭთა და წნეთა სამამაკაცოთა მქონებელი” – უჩვენებს შოთა კუპრის (თუ ავაგის) ზნე-ჩვეულებას, ყოფა-ქცევას, ცხოვრებას, და არა ლიტერატურულ მოღვაწეობას. ასე რომ არ ყოფილიყო, ჟამთააღმწერელი ჩახრუხაძის ოდებს, რომლებიც რელიგიური პიეტეტით არის გაჟღენთილი, მაინც მოიხსენებდა. ჩანს, ჟამთააღმწერელი წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესახებ დუმს ან იმიტომ, რომ ეს მის გეგმაში არ შედის (მას ალბათ სურდა დარჩენილიყო მარტო ჟამთააღმწერელად), ან მის გამო, რომ “ვეფხისტყაოსანის” და ჩახრუხაძის

ოდების შესახებ თავის სათქმელი მან უკვე თქვა ჟამთააღმწერლობის იმ ნაწილში, რომელიც ეკუცვნის თამარის ეპოქას, და რომელიც ჯერ-ჯერობით ნაპოვნი არ არის[12].

ზემონათქვამთან დაკავშირებით, ჩვენ, თუმცა სავსებით ვეთანხმებით რუსთველიანას ავტორს, - "ამ თხზულებას (ჟამთააღმწერლობას) თავით ბოლომდე გასდევს გარკვეული კლერიკალური ელფერი", მაგრამ ოდნავადაც ვერ ვიზიარებთ მის დასკვნას: "ამით აიხსნება, რომ ავტორი... დიდი სიძულვილით მოიხსენიებს XIII საუკუნის დასაწყისის საერო კულტურას"[13]. ჟამთააღმწერელი "სიძულვილით მოიხსენიებს": სიღოდას, ნაყროვანებას, მოსმურობას და დედათა უწესოთა თანააღრევას, ღვინით უცნობოდ ქმნას, გემოთმოყვარეობას, სიძვას, მთვრალობას, უძღებობას, განცხრომას მიმქცეველს სიბოროტედ. ურთიერთას მძლავრობას და მიხვეჭას, სამართლის უპოვრობას, მღვდელმთმთავართა და მღვდელთა ლაღ ამპარტავნობას, ანგარებას, ბოროტისმყოფელობას, უწესობას, მეფეთა და დიდებულთაგან სამ-სამ ცოლთა მოყვანას. მიტაცებას სოფელთა და აგარაკთა, მეფისა მიერ დისა განსყიდვას, წარმართთა თანა აღრევას და სწავებას მათგან უძღებებისა და სიძვისა, სოდომურთა ცოდვათა შემოსვლას და სხვას[14]. თუ ყოველივე ეს არის "მეცამეტე საუკუნის დასაწყისის საერო კულტურა" და რუსთველი მომხრეა ამ კულტურის, მაშინ მართლაც რომ მისი ნაწარმოები ღირსია დევნისა. მაგრამ საბედნიეროდ, შოთა ძალიან შორს დგას ამგვარი "კულტურისაგან" და ამისთვსი იგი ჟამთააღმწერლის მიერ დევნის ობიექტად ვერ იქცეოდა და არსაიდანაც არ ჩანს, რომ ქცეული იყოს!...

ბ) ტიმოთე გაბაშვილი (გარდაიც. 1964), ქართლისა მთავარეპისკოპოსის სიტყვები: (შოთა რუსთაველი) " იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა"[15].

როგორც ხედავთ, აქ ტიმოთე მთავარეპისკოპოსი არავითარ "დევნაზე" არ ლაპარაკობს. ის უზიარებს "მოხილვის" მკითხველებს საკუთარ აზრს "ვეფხისტყაოსანის" ავტორის შესახებ[16]. ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორის, - უნდა გულწრფელად აღვიაროთ, რომ (მიუხედავად ჩვენი უღრმესი პატივისცემისა მეთვრამეტე საუკუნის განათლულ ქართველთა ამ ერთ-ერთი წარმომადგენლისადმი) ტიმოთეს ქრისტიანობის (და მისი გარყვნის) შემფასებლად (თუნდაც XVIII საუკუნის თვალსაზრისით) ჩვენ ვერ ჩავთვლით. ტიმოთეს მეტად თავისებური წარმოდგენა აქვს ქრისტიანობაზე: "უკეთუ ვისმე, - ამბობს იგი – უძლურება არა სჭირს, შემძლებელ არს სლვად (მოგზაურობად) და არა არს ფრიად გლახაკ (ღარიბი) და არა მოიწევის ხილვად იერუსალმისა, მას ქრისტიანობა განგრილებულად უტვირთავს… ხოლო რომელთა უძლიეს…და იტყვიან, ღმერთი ყოველგანვე არს და არა საჭირო არს აღსლვა იერუსალიმად, ესენი

წინააღმდგომად გამოჩნდებიან ბრძანებისა ღმრთისასა”[17]. უბრალოდ რომ ვთქვათ, ქრისტიანობის 99% მეტი არიან განგრილებულნი და ღვთის ბრძანების წინააღმდეგნი იმიტომ, რომ არა აღვლენ იერუსალიმად, არამედ ადიდებენ ღმერთს თავის სამშობლოში!

თუ ტიმოთეს ქრისტიანობის გასაცნობად ეს არ კმარა, ვათხოვოთ ყური შემდეგსაც: აღმოსავლეთის წმიდა ადგილთა მომხილველი მიტროპოლიტი ურჩევს თავის თანამემამულეთ “განშორებას ქორწინაბითთა ძალითთა შებორკილებულთ”, ვინაითგან “ რომელნი იქორწინებენ… მათ თანარა არს მეცნიერება… ამისთვის (რომელთა) გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი (მხოლოდ იგინი) შეუდგნენ უკანა ქრისტესა”[18]. ვფიქრობთ, ამ სტრიქონების ავტორისათვის სავსებით ბუნებრივი უნდა იყოს რუსთველის ჩათვლა “განმრყვნელად ქრისტიანობისა” და “მასწავლებელად სიბილწისა”, რადგანაც იგი არც ქორიწინების წინააღმდეგია, არც განქორწინების მომხრეა და არც გამოსაჭურისების მქადაგებელია!![19].

ცხადია, ტიმოთე მთავარეპისკოპოსის პიროვნებაში ჩვენ საქმე გვაქვს არა კლერიკალურად განწყობილი ქართველი საზოგადოების წარმომადგენელთა, არამედ აღმოსავლეთის მონასტრების მოხილვით ზედმეტად გატაცებულ მოხუც ასკეტთან, რომელსაც ერთადერთი თანამოაზრე გამოუჩნდა მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ (ისიც არა ქართველთაშორის, არამედ) “კ□Ძ□□Ძ□□ᲬᲭ Ჟ□□Ჭ□Ჭ”-ს მოხუცი გენიოსი ავტორის პიროვნებაში!

მაშ, არც ტიმოთე მთავარეპისკოპოზი გამოდგება კლერიკალურად შანწყობილი ქართველი საზოგადოების მიერ “ვეფხისტყაოსანის” დევნის გამომხატველად[20].

გ) “ის აუტოდაფე, რომელიც გაუმართა შოთას პომას განათლებულმა ანტონ კათალიკოსმა”[21].

ფაქტი უტყუარია: ანტონმა (გარდაიც. 1788) ჯერ “აღუკრძალა ქართველთა კითხვა “ვეფხისტყაოსანისა”, ხოლო როდესაც ამ საშულაებამ ვერ გაჭრა, მიმართა ადმინსტრაციულ ზომებს, “მრავალნი დაბეჭდილნი “ვეფხისტყაოსანნი” დასწვნა და შთააყრევინა მტკვარში[22]. ჩვენ არ შევდივართ იმის განხილვაში, თუ რამ აიძულა მეთვრამეტე საუკუნის ქართველთა შორის “სწორუპოვარი მეცნიერი” (პროფ. კ. კეკელიძე), ჩაედინა ასეთი ბარბაროსობა[23]. ვიმეორებთ, ფაქტი უტყუარია და მას აღვნიშნავთ მწუხარებით, მაგრამ იგი არ მიგვაჩნია იმდროინდელი ქართველი საზოგადოების კლერიკალურად განწყობილი წრეების სულისკვეთების შედეგად, ვინაიდან დანამდვილებით ვიცით, რა თვალით შესცქეროდენ ანტონ კათალიკოსის თანამედროვე კლერიკალურად განწყობილი წრეები

“ვეფხისტყაოსანს” და როგორი გთაბეჭდილება მოახდინა მათზე ანტონის აუტოდაფემ. კლერიკალთა შორის უკლერიკალესი ადამიანი, მეფე გიორგი XIII ამბობს: “ბატონი კათალიკოზი, არა ჩემგან (ბიძად მოხვედებოდა) საკიცხველი, შეიქმნა მართლად საძრახისად მწერალთაგან: მან ერთ დღეს გთააყრევინა მტკვარსა 80 დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანნი… შოთას თქმულნი, განაგრძობს მეფე გიორგი, ატკბობენ სულსა, ასუქებენ გონებასა, ამაღლებენ გრძნობასა, ავრცელებენ გულსა, ამხიარელებენ კაცსა, დიდებულ ყოფენ ქართველთა ენას, ამუსიკებენ ქალთა და კაცთა”. ამ მოსაზრებეთა ცხადსაყოფელად, გიორგი მეფე ხშირად “ზეპირად წარმოსთქვამდა ოცდაათსა და მეტ მუხლთა, ეტრფოდა ლექსთა წყობასა და გულმხიარულებით გასაგონად ტკბილად აბოლოებდა შოთას ტკბილთა ნათქვამთა”[24].

არაკლარუკალურად (იქნება კლერიკალურადაც) განწყობილი წრეები სხვანაირად გამოეხმაურა დიდებული მღვდელთმთავრის არასაკადრის საქციელს. მათთვის შეუძლებელი იყო, გიორგი მეფესავით, აშკარად გამოეთქვათ თავიანთი აზრი ანტონის შესახებ, - ის იყო ბატონიშვილი, კათალიკოსი, მეცნიერი და დიდად პატივცემული პიროვნება. ამის გამო მათ საქმით განაცხადეს პროტესტი, - იწყეს “ვეფხისტყაოსანის” დასტამბულიდან გადმოწერა. ასეთი ხელნაწერები ბევრი იყო ჩვენში ამ 40-50 წლის წინად, მაგრამ წარსული საუკუნის სამოცდაათიანი წლების შემდეგ, როცა გამრავლდა დასტამბული “ვეფხისტყაოსანის” ცალები, გაქრენ. მაგალითისათვის აღვნიშნავთ ხენაწერს, რომელიც ამას წინათ მოეპოებოდა ბუკინისტ ი. სამადაშვილს (თბილისში). თავის მოცულობით ის თითქმის უდრიდა დ. ჩუბინაშვილის მიერ 1860 წელს გამოცემულ “ვეფხისტყაოსანს” (აკლია ზოგიერთი სტროფი. მაგ. 113,151) და სავსეა ისეთი შეცდომებით (პირველ სტროფში “ზეგარდმოს” მაგიერ წერია “ზეგარდმო”, “ მოგვცა”-ს მაგიერ “ მოგვცეს”, “ყოვლი-ს” მაგიერ – “ ყოველი”; 1741 –ში: “ნახეთ-ის მაგიერ –“ვნახეთ”, “ვის” მაგიერ _ “ვით” და სხვ.), რომლებიც მოწმობენ, ერთის მხრით იმას, რომ გადამწერს დედნად ჰქონია არა დაბეჭდილი ეგზემპლარი, არამედ დაბეჭდილისაგან გაკრული ხელით გადმოწერილი ცალი, ხოლო მეორის, - რომ გადამწერი მოკლებული ყოფილა არამცთუ ლექსისა და მეტრის ალღოს, არამედ ქართული ენის ოდნავ ცოდნასაც კი. ჩანს, ასეთებიც ცდილობდენ მოეპოებიათ “ვეფხისტყაოსანი”!

ნათქვამის შემდეგ ცხადია, - ანტონის აუტოდაფეში არც კლერიკლურად და არც არაკლერიკალურად განწყობილ ქართველ საზოგადოებას წილი არ უძევს. ანტონმა, ჩანს, რაღაც განსაკუთრებული მოსაზრებით ჩაიდინა ეს საქმე, მაგრამ “ვეფხისტყაოსანის” პოპულარობა ვერ შეარყია, თავის სახელს კი საკმაოდ დიდი ჩრდილი მიაყენა. სწორედ რომ იმაზედ შეიძლება ითქვას ის, რაც მან თქვა რუსთველისათვის, - “ამაოდ დაშვრა, სანანურ არს ესე![25].

დ) “პოემის მთელი ანალიზი, (რომელიც ამტკიცებს (sic), რომ შოთას მზე მიაჩნია ღვთაების ემანაციად”, “იგივე ღვთაებად”, რაც “უკიდურეს საცთურს წარმოადგენდა საშუალო საუკუნეთა ორთოდოქსი მკითხველისათვის, და ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ამას ადგილი ჰქონოდა იმ ეპოქის ორთოდოქსი ქრისტიანის მწერლის თხზულებაში”[26].

ეს “უკიდურესი საცთურის” შემცველი “მთელი ანალიზი” გამიხატება თურმე იმაში. რომ ერთ-ერთ მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერში სტროფი

იწყება ასე:

“მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

აჰა, ღმერთო, გეაჯები…[27]

აქ რომ “ღმერთო” არ უნდა იყოს ჩანს იქიდან, რომ მნათობთადმი ლოცვაში მზეს არავითარი უპირატესობა არ ენიჭება დანარჩენ ექვს “ვარსკვლავთა” წინაშე, - ავთანდილი მათ თვლის თანაბარ “ღმერთებად”.

“მო, ზუალო, მომიმატე…

“ჰე, მუშთარო, გეაჯები…

“მოდი, მარიხო… მას უთხრენ…

“მოდი, ასპიროზ, მარგე რა…

“ოტარიდო,… დაჯე წერად ჭირთა ჩემთა…

“მო, მთვარეო, შემიბრალე….

და დასასრულ, სტროფში, -

აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი შვიდნივე მემოწმებიან:

მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,

მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან,

მას გააგონენ (ყველამ), რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან”.

მაშასადამე, შვიდნივე ვარსკვლავნი ერთნაირი ღმერთები არიან!

მაგრამ დაუჯეროთ იმ ერთ ხელნაწერს, რომელიც “მზეო”-ს მაგიერ შეიცავს “ღმერთო”-ს; რად გვგონია, რომ აქ საშუალო საუკუნის ორთოდოქსი ქრისტიანისათვის “უკიდურესი და ყოვლად წარმოუდგენელი” საცთურია? თვით საღვთო წერილი უწოდებს ღმერთს მზედ: 83-ე ფსალმუნის მე-12 მუხლი ასე იკითხება ებრაულ ტექსტში და ლათინურ-ევროპიულ-რუსულ თარგმანებში (ბერძნულ-ქართულ-სლოვენურში ცოტა სხვანაირად არის ნათარგმნი): “უფალი ღმერთი მზე და ფარი არს…” წმიდა მამები, - ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი. - ორთოდოქსიის ბურჯები, ქრისტეს უწოდებენ მზედ სიმართლისად[28]. რაც შეეხება ლოცვებსა და საეკლესიო საგალობლებს, რომელთაც მორწმუნე ორთოდოქსები ყოველდღე ისმენდენ და უფრო დაახლოებით იცნობდენ, იქ ხომ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ეს ცნება, - ყოველდღიური დილის მეორე (8) და ღამის მეოთხე (10) ლოცვებში, საცისკრო მე-3 და მე-12 ლოცვებში. პირველ ჟამნის ღვთისმშობლისაში, ღვთისმშობლისა და ქრიტეს დაბადების ტროპებში, აღდგომის კანონის მეხუთე საგალობელში, დიდმარხვის პირველი ოთხშაბათის “უფალო ღაღად-ვყავის”-ის დასადებელში. აღდგომის ცისკრის იკოსში ნათქვამია: “ უპირატესი მზისა მზე შთაჴდა საფლავად”… ან კიდევ: “მზისა შემოქმედი მზე საფლავსა შთაჴდა ჴორცითა”… წმ. ნიკოლოზის ტროპარში (მაისის 9) და ანდერძის აგების სტრიქონში მასვე ეწოდება მზე დაუვალი; ღვდელმოწამეთა კონდაკში - მზედ გონიერად, ღვთისმშობლის დაუჯდომელში, რომელიც ჩვენში ბოლო დრომდე თითქმის ყველა მანდილოსანმა იცოდა ზეპირად, წერია: “გიხაროდეს, ვარსკულავო (ღვთის-მშობელო), მომფენო მზისაო” (ე.ი. მშობელო ქრისტესო) – იკოსი პირველი და სხ.[29] მაგრამ ესეც არა კმარა საეკლესიო წიგნებში თივთ სამებას ეწოდება სამზე (τρισήλιος), რომელიც, ქართულად უთარგმნიათ სამმნათობად, სამმნათობიერად და სამბრწყინვალებად[30].

ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაშიც, რომელსაც რუსთაველის თანამედროვენი იცნობდნენ ჩემზე უკეთესად, მზეს სათანადო ადგილი აქვს: მზე, ღვთისმტყველთა აზრით, არის თავისთავად ერთი რამ, მაგრამ, იმავე დროს, იგი სამგვამოვანია, - დისკო მზისა (მატერია), სინათლე და სითბო. ამნაირად ის წარმოადგენს სამპიროვანი ღვთაების მსგავსებას, ხატს[31]. უფრო ხშირად მზედ უწოდებენ სამების მეორე პირს, ძეს ღვთისას, იესო ქრისტე; ეს იმიტომ, რომ საღვთო წერილში იგი იწოდება ხატად ღვთისა. მოციქული პავლე ამბობს: ქრისტე არის ხატი ღმრთისა უხილავისა, პირმშო ყოველთა დაბადებულთა… ბრწყინვალება დიდებისა და ხატი არსებისა ღმრთისა მამისა (2 კორ. 4, 4; კოლ. 1, 15; ებრ 1, 3). რუსთველის თანამედროვე “ორთოდოქსი) პოეტი და ასკეტი ფრანცისკო ასიზელი (გარდაიც. 1226) ასეთი სიტყვებით მიმართავს უფალს:

Laudato sic. Misgnore, cute Ie tue craeture

Spetialmente messer Io frate Sole…

Et ello e bello e radiante cum grande Splendore

De te, Altissimo, porta significatione, რაც (თავისუფალი თარგმანით) ნიშნავს: იდიდოს სახელი შენი, უფალო, ყველა შენ ქმნილებასთან ერთად, განსაკუთრებით (იდიდოს) ბატონი ძმა მზე… დიდად მშვენიერი და სხივმფინარე, დიდ არს ბრწყინვალება (შუქმფინარება) მისი, იგი, უზენაესო, შენი ხატია[32].

ზემოაღნიშნულიდან ცხადი უნდა იყოს, მზის ღვთაებად წოდება საშუალო საუკუნეების ორთოდოქს ქრისტიანთათვის არ წარმოადგენდა არავითარ ცთუნებას და " ვეფხისტყაოსანის" და მისი ავტორის დევნის საბაბად ვერ შეიქმნებოდა!…

ე) "ვეფხისტყაოსანის" მსოფლიომხედველობა, (რომლის) თანახმად რჩეულ ადამიანში შესაძლოა უშუალო განხორციელება ღვთაებისა, იმავე მზისა. ასე, შოთა თვითონ თამარს უწოდებს ღმერთს… რომ პოემის შვიდნი გმირნი არიან მზის წილი, რაც ყველაზე ნათლად არის გადმოცემული ნესტან – დარეჯანის წერილში… ეს მწვალებლური იდეა გადმოცემულია თვით პოემაში და მეტად ახლოს უდგება მანიქეურ თეოსოფიას[33]. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მზე შოთას შეგნებაში არის ხატი ღვთისა (ამაზე კიდევ ქვემოთ) და არა ღვთაება, ხოლო ღვთაების განხორციელება რომ შესაძლებელია, ამაზეა დაფუძნებული ქრისტიანობა (იოან. 1,14) და ცხადად არის გადმოცემული თუნდაც სარწმუნოების სიმბოლოში, რომლის მესამე წევრი ასე იკითხება: (მრწამს) ერთი უფალი იესო ქრისტე, რომელიც ჩუენთჳს, კაცთათჳს, გარდამოჴდა ზეცით და ჴორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა, და განკაცნა. ეს შოთამ კარგად იცოდა; მან ისიც იცოდა, რომ ეს მოხდა ერთხელ და შემდეგ აღარ გამეორდება და ამიტომ არც "ვეფხისტყაოსანში" მოიპოვება ამის მსგავსი რამ. დავუმატოთ ისიც, რომ ის სტროფი (1742), რომელიც შეიცავს თამარისა (თუ დავითის) ღმერთად წოდებას, მეტად საეჭვოა, რომ შოთას ეკუთვნოდეს, და მაშინ გასაგები იქნება, რამდენად უსაფუძვლოა ზემომოყვანილი "ვეფხისტყაოსანის მსოფლმხედველობა"! რაც შეეხება მანიქეურ თეოსოფიას, სჯობია დავაყენოთ ამას თავი; პროფ. კ. კეკელიძის წერილის[34] შემდეგ "ვეფხისტყაოსანზე" მანიქეიზმის ძებნა ზედმეტია…

დავიჯეროთ მაინც, რომ შოთა თვითონ თამარს უწოდებს ღმერთს". განა ეს საბუთია "ვეფხისტყაოსანის" დევნისათვსი საშუალო საუკუნეების ორთოდოქსი ქრისტიანების მიერ? ჩახრუხაძეს (იხილე ქვემოთ) პირდაპირ ღმერთად ჰყავს შერაცხილი თამარი, მაგრამ მის შესახებ არ ამბობენ, რომ იგი ან მისი ნაწარმოები განიცდიდა დევნასო. რუსთაველმა რაღა დააშავა? მით უმეტეს, რომ ადამიანის ღვთად წოდება უცხო არ არის თვით საღვთო წერილისთვისაც: ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: აჰა ეგერა მიგეც შენ

ღმრთად ფარაოს (გამოსლ. 7,1; შეად. იქვე 4,15 – 16); 81-ე ფსალმუნის მე-6 მუხლი კი ბრძანებს: მე (ღმერთმან) ვთქუ: ღმერთნი სამე ხართ. ამავე სიტყვებს იმეორებს თვით იესო ქრისტე იოვანეს სახარების მეათე თავისი 34-ე მუხლში. მაშასადამე, ორთოდოქს ქრისტიანთათვის თამარის ღმრთად წოდება "მწვალებლობას" არ წარმოადგენდა. ამისთვის არის, რომ თვით იმ სიგელში, რომელზედაც ხელი უწერი "შოთას" (ვითომც "ვეფხისტყაოსანის" ავტორს) წერია: მე… ჭიაბერმან… მოვახსენე ღმერთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს[35]. სიგელი კი არ არის პოეზია არამედ იურიდიული საბუთია, რომელზედაც, სხვათა შორის, ხელი უწერია კათალიკოს – პატრიარქს – ორთოდოქსთა მეთაურს! არც ნესტანდარეჯანის

წერილია დ შორეგულ ქრისტიანობას; ნესტანი სწერს ტარიელს:

"მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან * შენ ხარ მისი წილი,

განაღამცა მას იახელ**, მისი ეტლი, არ თუ წბილი!

მუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი"[36]…

ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ საქრისტიანო ლიტერატურაში ქრისტეს ეწოდება მზე, ქრისტე კი თავია მორწმუნეთა კრებულისა, ეკლესიისა (კოლ. 1,8), ეკლესია არის გვამი ანუ სხეული ქრისტესი, თითოეული მორწმუნეთაგანი კი ასოა, ანუ ნაწილი მისი (ქრისტეს) სხეულისა (რომ. 10,17 1. კორ. 12,27). სიკვდილის შემდეგ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე ქრისტესა, რათა ქრისტე თავ იყოს ყოვლისა მისთჳს, რაჲ–იგი არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა (2 კორ. 5,10; ფილიპ. 1,23 ; ეფ. 1,10). სიტყვები "მას იახელ", "მუნა გნახო", "განმინათლო გული ჩრდილი "ამჟღავნებენ ნესტანის რწმენას, რომ სიკვდილის შემდეგ ყველანი გამოვცხადდებით მზე–ქრიტეს წინაშე, იქ ვიხილავთ ერთმანეთს და გულით გავიხარებთ. ამას გარდა, ეს სიტყვები გამოხატავენ რწმენას ადამიანის პიროვნების დაუშლელობის, მთლიანობის, "მე"-ს უცვლელობისათვის. ამის გამო ნესტანი იმედიანად განაგრძობს: "თუ სიცოცხლე მქონდა მწარე, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი", "მე სიკვდილი აღარ მიმძიმს"… "ნუმცა მტირ და ნუმცა მიგლოვ (დედანში იქნებოდა: იგლოვ), ჩემო, შენთვის დაკარგულსა" (1369/1306). ცხადია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმ რწმენასთან, რომელიც ამბობს: **და მიიქცეს (სიკვდილის შემდეგ) მიწა (სხეული) ქუეყანასა შინა, ვითარცა იყო, ხოლო სული მიიქცეს ღმრთისა მიმართ, რომელმან (კაცსა) მისცა იგი** (ეკლ. 12,7). ამ რწმენას სავსებით იზიარებს გონებაში ჩავარდნილი ტარიელიც. უკანასკნელი ეუბნება ავთანდილს:

"…ძმაო, რა გითხრა, ძრვაცა არ ძალ – მიც ენისა,…

აწ მივსწურვილვარ*** სიკვდილისა, დრო მომეახლა ლხენისა.

“ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით:

აქა გაყრილნი მიχნურნი **მუნამცა შევიყარენით,**

მუნ ერთმანეთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით,

მო, მოყვარეთა, დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით! (940–941 / 881–882).

იგივე რწმენა გამოსჭვივის ავთანდილის სიტყვებში:

“ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა[****],

პირის–პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა” (852 / 797).

როგორც ვხედავთ, არავითარი “მწვალებლური იდეა” არ არის გადმოცემული “ვეფხისტყაოსანის” აღნიშნულ ადგილებში, და ამიტომ მას არ შეეძლო გამოეწვია “ვეფხისტყაოსანის” დევნა…

ვ) “ღვთაების სამჰიპოსტასობის დადუმება: კეთილმორწმუნე ინტერპოლატორი აფრთხილებს მკითხველს, რომ “ვეფხისტყაოსანში” არ არის ხსენება სამებისა და რომ მისი გადაკითხვა წაწყმედას უდრის”[37]. აი თვით ეს გაფრთხილებაც:

“პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,

უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არას შეიქმს ხორცს არსულად

საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად!

არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად”.

როგორც ვხედავთ, აქ სულის წაწყმედა სრულებით არ არის ნახსენები[38], აქ მხოლოდ ნათქვამია “არას გვარგებს”–ო, ამ ორ ცნებათა შორის დიდი ზღვარია![39]

ძველად რომ არ მიაჩნდათ “ვეფხისტყაოსანის” გადაკითხვა “წაწყმედის” მომასწავებლად, ეს ჩანს იოსებ ტფილელის მიერ “ვეფხისტყაოსანის” გადაწერის ფაქტიდან (იხ. ქვემოთ). საქართველოს პირველ (ფაქტიურად) მიტროპოლიტს, “ვეფხისტყაოსანის” გადაკითხვა რომ ჩაეთვალა სულის წამწყმედ მოვლენად, განა ის “ჯოჯოხეთს ერთს მუგუზალს მიუმატებდა” თავისი ეგზემპლარის (დამატებებით) გადაწერით და ისიც ინტერპოლატორის სტროფის სათავეშივე მოქცევით? ცხადია, იოსები ამ სტროფს ისეთ მნიშვნელობას არ აძლევდა, როგორსაც მას აძლევენ დღეს. ვახტანგის კომისიამ ის ხომ სრულებით გამოაგდო, როგორც უვიცი ავტორის პირადი გრძნობების გამოხატველი შენიშვნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სტროფს არ იშველიებს ტიმოთე მთავარეპისკოპოსიც, თუმცა ის თურმე მოიპოვება “ვეფხისტყაოსანის” თითქმის ყველა ხელნაწერში[40].

მაგრამ დავუბრუნდეთ “ვეფხისტყაოსანის” მიერ სამების ერთარსულად არხსენების საკითხს. აი რასა წერს ამის შესახებ პროფ. კეკელიძე[41]: “ტყუილია, რომ “ვეფხისტყაოსანი” არ იხსენიებს სამებას; პოემაში ნათქვამია, რომ მზე ხატია ერთარსებისა ღვთისა; თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში “ერთარსება” implicite გულისხმობს “სამებას”, ისე მას არავითარი აზრი არა აქვს”.

ჩვენ ფრიად ვწუხვართ, რომ პროფ. კეკელიძეს არ მოუსურვებია გაეკეთებინა სრული ანალიზი 895/836 სტროფებისათვის, რომელშიაც რუსთველი სამების ხსენებას უდგება არა მშრალი ღვთისმეტყველური ცოდნით, არამედ როგორც დიდებული ხელოვანი და გენიოსი მგოსანი; ამასთანავე, ის სარგებლობს წმინდა საღვთისმეტყველო და საეკლესიო ტერმინებითა და ცნებებით. ის ამბობს:

“… ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს* მზიანისა ღამისად,

ერთარსებისა, ერთისა, მის უჟამოსა, ჟამისად ...”

* კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “რადგან”.
** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “იახლე”.
*** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “მიწურვილვარ”.
**** კ. კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “საზაბუნოსა”.
* კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “ გთქვის”.

a) **მზიანი ღამე,** ერთი მეორის საწინააღმდეგო სიტყვები და ცნებებია[42] და, რასაკვირველია, რუსთველი პირდაპირის მნიშვნელობით ამ სიტყვებს არ იხმარდა. ცხადია, ჩვენ საქმე გვაქვს მეტაფორასთან და ისეთ მეტაფორასთან, რომლის გაგება შესაძლებელია ღვთაების შესახებ ქრისტიანულ სწავლასთან დაკავშირებით. ამ სწავლით, ადამიანისათვის ღვთაება "გამოუკვლეველი და მიუწთომელია", გაუგებარია, ბნელია, ღამეა. მაგრამ, მეორის მხრით, ღვთაება, რამდენადაც ის თავის თავს გამოუცხადებს ადამიანს, - ნათელია, დღეა, მზეა. თვით საღმრთო წერილი ამბობს: **ღმერთი ნათელსა მყოფ არს მიუწთომელსა, რომელი** (ე.ი. ღმერთი) **არავინ იხილა კაცთაგანმან, არცა ხილვად ჴელ–ეწიფების** (1 ტიმ. 6,16). პავლე მოციქულის ამ სიტყვებს იოვანე მახარებელი დასძენს: **ღმერთი არავინ სადა** (πώποτε - არასოდეს) **იხილა** (სახ. 1, 18). ღვთის ცნობა ძალუძს მხოლოდ ღმერთს: **ღმრთისა არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისამან** (1. კორ. 2,11). თვით იესო ქრისტე იტყვის: **"არავინ იცის ძე, გარნა მამამან, არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან და რომლისა უნდეს ძესა გამოცხადების** (მათე. 11,27), ე.ი. მამაღმერთის ცნობა შეუძლია, ვისაც ძე გამოუცხადებს, ასწავლის, ჩააგონებს. ამისთანა ადამიანებისათვის **ღმერთი ნათელ არს** და ბნელი არა არს მის თანა არცა ერთი (1 იოვან . 1,5 შეად. სახ. 1,9)[43]. საღვთო წერილის ზემორე მოყვანილი სიტყვები რუსთველმა ორი სიტყვით ცხადყო: ღმერთი **ღამეა მზიანი,** და უკეთესად ადამიანის ენა ვერ გამოხატავს ცნებას – ღვთაება.

b) გარნა რუსთაველმა ეს არ გვაკმარა: მისი თქმით **ღამე მზიანი** დაუსაბამოა, დროთი განუსაზღვრელია, მუდამ არსია, უჟამოა. ამ ერთი სიტყვით რუსთველი ამბობს იმას, რაც გამოთქმულია გამოსლვათა წიგნის მესამე თავის მე–14 მუხლში: **ჰრქუა მოსეს ღმერთმან: მე ვარ რომელი ვარ,** ე.ი. იეჰოვა, δ ὤγ, ñûé, ñóùèé, ანუ ისაიას 43,10: იტყჳს უფალი **ღმერთი: მე ვარ, წინასწარ ჩემსა არა იყო სხვა ღმერთი და შემდგომად ჩემსა არა იყოს!**

c) ამასთან ერთად, ღამე მზიანი ერთია. აქ რუსთველი მტკიცედ იცავს ძველისა და ახალი აღთქმის ძირითად დებულებას: ისმინე ისრაჱლ! უფალი **ღმერთი ჩუენი უფალი ერთ არს** (მეორე სჳ. 6,5; მარკ. 12,29).

d) ესეც არა კმარა: **ღამე მზიანი ერთარსებაა**. აქ შოთას შევყავართ ღამე მზიანის (ღვთაების) შინაგანი არსების შეცნობაში, რამდენად ეს დებულება გამომუშავებული იყო საქრისტიანო ლიტერატურაში. ერთარსება, როგორც პროფ. კეკელიძეს (იხ. ზემოთ) აქვს განმარტებული, უკვე გულისხმობს ღვთაების სამპიროვნებას, სამგვამოვნებას, და ეს ცნება (δμοιόσια) გამომუშავებულია პირველი მსოფლიო კრების მიერ 325 წელს და მის შემდეგ შევიდა, როგორც ღვთაების შინაგანი ცხოვრების გამომხატველი ცნება თვით სარწმუნოების სიმბოლოში, საქრისტიანო ლიტერატურაში და ღვთისმსახურებაშიაც კი ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურღიაში ქრისტიანებს ყოველდღე ესმის: "ღირს არს და მართალ

თაყუანის–ცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, სამებისა ერთარსებისა და განუყოფელისა".

e) დაუსაბამო და უჟამო **მზიანი ღამის** ერთ–ერთი პირი მოევლინა ქვეყანას, რუსთველის სიტყვით, ჟამისად. რას ნიშნავს ეს? იმას, რასაც აღნიშნავს პირველმოწამე სტეფანე შემდეგი სიტყვებით: და ვითარცა მოეახლა ჟამი იგი აღთქუმისა (საქ. მოც. 7,17), ან მოციქული პავლე: ოდეს მოეწია აღსასრული ჟამთა, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი (გალ. 4,4), ე.ი. მეორე პირი ღვთაებისა განხორციელდა განსაზღვრულ დროსა და ჟამსა[44].

f) უჟამო **ღამემზიანის** ჟამიერ ხატად უთქვამთ **მზე.** შემდეგ სტროფში რუსთველი უფრო გარკვევით ამბობს: "ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი[*] წინანი" (896 /837). პროფ. კეკელიძე (ზემოხსენებულ წერილში) ფილოსოფოსთა ქვეშ გულისხმობს ღვთისმეტყველებს. მაგრამ ღვთისმეტყველთა უადრეს, ხატად ღვთისად მოციქული პავლე უწოდებს სამების მეორე პირს (2 კორ. 4,4; კოლ. 1,15; ებრ. 1,3), როგორც ეს უკვე განვიხილეთ ზემოთ. ჩვენ ისიც განვიხილეთ, რომ მეორე პირის ქვეყნიურ ხატად საეკლესიო ლიტერატურაში მიჩნეულია მზე. მზესავე რაცხს ღვთაების ხატად ფილოსოფოსი პლატონი (გარდაიც. 348 წ. ქრისტეს შობამდე). თავის **რესპუბლიკაში** იგი ამბობს: "ღმერთმან შექმნა მზე, იგი (მზე) თავით თვისით წარმოადგენს ღვთაების მოქმედების **ხატს გონიერ სამყაროში,** რომელიც მიიღებს მისგან (ღვთისგან) თავის ნათელს, მსგავსად მისა, როგორც სახილავ სამყაროში ყოველსავე მოეფინება ნათელი ნივთიერის (÷ó3ñò3íØííûé) მზისაგან"[45].

ზემოთ ნათქვამს რომ ერთად მოვუყაროთ თავი, "ვეფხისტყაოსანის" 895 და 896 სტროფების სამ სტრიქონს უნდა უყოთ ასეთი "დეშიფროვკა": უფალი იესო ქრისტე (მზეო), რომელი **ფილოსოფოსთა,** მოციქულთა, მსოფლიოთა მამათა და ღვთისმეტყველთა დაგსახეს **(გთქვეს)** განსაზღვრულ დროს **(ჟამიერად)** მოვლინებულ ხატად ერთისა, **ერთარსისა** და დაუსაბამოჲსა (უჟამოსა) სამებისად **(მზიანისა ღამისად),** ბედსა ნუ მიქცევ…

ამ განყოფილებაში აღნიშნულის შემდეგ, არ უნდა ჩაგვეთვალოს შეცდომად: გარჩეულ სამ სტრიქონში რუსთველი არამცთუ "ახსენებს სამებას" და მით უკუაქცევს საბაბს "ვეფხისტყაოსანის" დევნისას, არამედ მთლიანად წარმოგვიდგენს ქრისტიანული დოგმატიკის უმთავრეს ნაწილს, რომელსაც ღვთისმეტყველები ანდომებენ ათასფურცლოვან ტრაქტატებსა და მრავალტომოვან გამოკვლევებს!..

[*] კ. ჭიჭინაძის გამოცემაში "ფილასოფოსნი".

* * *

ჩვენ განვიხილეთ დებულებანი შოთას "არაქრისტიანულ მწერლად" ყოფისათვის და დავინახეთ მათი უსაფუძვლობა, მაგრამ უსაფუძვლობა უფრო ცხადი შეიქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში "ვეფხისტყაოსანის" წარმოშობის მიზეზს და მის შინაარსს.

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ მოიპოვება ისეთი ცოტად თუ ბევრად შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც ასე თუ ისე არ იყოს აღბეჭდილი თანამედროვე ისტორიული მოვლენანი. მართალია, "ვეფხისტყაოსანი" საუცხოოდ გვიხატავს რუსთველის დროინდელ სოციალურ და კლასთა შორის დამოკიდებულებას, მაგრამ ისტორიულ მოვლენათა და მოქმედ პირთა შესახებ **თითქოს** არას გვაძლევს. წინასიტყვაობაში აღნიშნული თამარის ხსენება (სტროფი 3–5) არაბუნებრივად არის ჩართული სხვა და სხვა ავტორების ნაწარმოებთა ნაფლეთებში და შეიცავს თამარისათვის (რომელიც თვით პოემაში არც ერთხელ არ არის ნახსენები) არასაკადრის თქმას: "მიბრძანეს მათდა საქებრად… ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე კბილისა"–ო, თითქოს მბრძანებელს დიდებული მეფის პიროვნებაში ქების ობიექტად ბაგე–კბილისა და წარბ–წამწამის გარდა ვერა მოძებნოს რა. მიუხედავად ამისა, ხსენებული სტროფიდან ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა: მერმინდელი ავტორის აზრით, "ვეფხისტაოსანსა" და თამარს შორის არის რაღაც კავშირი. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ დასახელებული სტროფებიდან არ ჩანს, რომ "მიბრძანეს ქვემდებარედ უეჭველად იგულისხმება" "თამარმა", შეიძლება მბრძანებელი სხვა ვინმეც იყოს.

ვფიქრობთ, საქმე შემდეგშია: თამარის მამამ, გიორგი მეფემ განიზრახა უცნაური და უმაგალითო რამ, საქართველოს სამეფო ტახტზე დასმა თავისი ერთადერთი შვილის, ახალგაზრდა თამარისა. ასეთ მოვლენას არც საქართველოს წარსულში და არც მსოფლიო ისტორიაში პრეცენდენტი არა ჰქონია[46]. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას, ტახტის არა სავსებით ლეგალურად დამპყრობი და დემნას განდგომის ცეცხლითა და მახვილით ჩამქრობი (თვალებ დათხრილი და გამოსაჭურისებული დემნა 1177 წელს გარდაიცვალა) გიორგი, ერთბაშად ვერ გაბედავდა; მას უეჭველად უნდა გაეზიარებინა თავისი გულნადები საქართველოს დიდებულთათვის, რომელთა შორის მოიპოვებოდა დემნას ყოფილი მომხრენი და თანამგრძნობანი. დამარცხებულნი ძალაუნებურად შეუერთდებოდნენ ძლიერი მეფის განზრახვას, მაგრამ გულში კი უკმაყოფილონი დარჩებოდნენ. ეს გამომჟღავნდა გიორგის გარდაცვალების (1186 წ.) შემდეგ, "ველსა ჰისანისასა კარავის დადგმად" მოთხოვნით და განდევნილი რუსი გიორგის დაბრუნების მხარის დაჭერით. ცხადია, უკმაყოფილოთა მიერ გიორგის რეფორმის volens-nolens გაზიარება არ გამოეპარებოდა ისეთ ჭკვიანსა და შორსმჭვრეტელ ადამიანს, როგორიც იყო თამარის მამა, და ის

შეეცადა პოპულარიზაცია ეყო თავისი განზრახვისათვის, სანდო პირების მეშვეობით. ასეთ პირთა შორის უნდა ვიგულისხმოთ თავისი მდგომარეობით სახელმწიფოს მეთაურზე პირდაპირ დამოკიდებულნი კარის მგოსნებიც, რომელთა ხელში იყო **უმკვეთლესი ყოვლისა მახვილისა ორპირისა** (ებრ. 4,12) იარაღი, შემძლებელი დაპყრობად და დამორჩილებად მტრისაცა და მოყვარისაც. ეს იარაღი არის სიტყვა, უმთავრესი ნიჭი და უდიდესი იარაღი ადამიანისა.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც, რომ კარის მგოსნები, როგორც ხშირი სტუმრები სასახლისა, ბავშობიდანვე კარგად იცნობდნენ თამარის პირად ღირსებებს, მაშინ გასაგები იქნება ჩახრუხაძის ოდები, რომელთაგან პირველში ის მოუწოდებს ფილოსოფოსთა და მეცნიერთა, თვით შეიგნონ და სხვებსაც შეაგნებინონ, რომ ქმნილებისა საბოლოო მიზანი იყო თამარის წარმოშობა და მისი სკიპტრის მპყრობელობით, მართლმსაჯულებით და ღვთისსახიერებით შემოსვლა, ხოლო მესამეში, - თამარის პირდაპირ გაღმერთება:

“დაუსაბამო

თამარ ვთქვა ნათლად

და ძედა მისად (მამისად)…

სულის (წმიდის) სავანე

თანაგანმწყოდ ძისა,

სწორად მამისად”[47].

მაგრამ გიორგი მეფის განზრახვის განხორციელებისათვის პირადად თამარის ქება–დიდება საკმარისი არ იყო: საჭირო იყო ტახტზედ ქალის დასმის საკითხის პრინციპულად და დადებითად გადაჭრა. ამისთვის კი უნდა მოეძებნა ორი რამ: მაგალითი ამა თუ იმ ერის წარსულში და ურყევი, ეჭვმიუტანელი საფუძველი. მეზობელ სახელმწიფოთა ისტორიაში, როგორიც იყვნენ ბიზანტია და სპარსეთი და რომელთა წარსულს დაახლოებით იცნობდა მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია, ასეთი მაგალითი არ მოიპოვებოდა, მაგრამ “შესაძლებელი იყო” ასეთ მაგალითს ადგილი ჰქონოდა შორეულ ქვეყნებში, რომელთაც არც ისე კარგად იცნობდნენ ჩვენი წინაპრები, - არაბეთში, ინდოეთში, ხატაეთში და სხვა. მეორის მხრივ, ქალის გამეფების შესაძლებლობა უნდა დასაბუთებულიყო

ისეთი ავტორიტეტით, როგორადაც მიაჩნდათ გიორგი მეფის[48] თანამედროვეთ საღვთო წერილი, სახარება-სამოციქულო. მაგრამ, თუ ქალის მეფედ გახდომის მაგალითი მოიძებნებოდა მუსულმანურ ქვეყნებში, იქ სახარება–სამოციქულოთი პირდაპირ სარგებლობა მოუხერხებელი იყო.

ამ უხერხულობიდან გამოსასვლელად და მთელი საქმის მოსაგვარებლად საჭირო იყო ნიჭი, ჭკუა, ცოდნა და გამჭრიახობა. გიორგი მეფემ ამ თვისებებით შემკობილი ადამიანიც გამოძებნა. ეს იყო შოთა რუსთველი, რომლის გენიისათვის ხელოვნების დარგში მოუხერხებელი და შეუძლებელი არა იყო რა. მან ქალის ტახტზე აყვანის საკითხი "ისტორიულადაც დაასაბუთა და საღვთო წერილის ურყევი სიმაგრითაც განამტკიცა: შოთამ დაწერა და გამოაქვეყნა "ვეფხისტყაოსანი", რომლის პირველ სტროფებშივე თქვა ის, რაც საჭირო იყო გიორგი მეფისათვის და თქვა ისე, როგორადაც თქმა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ რუსთველს:

"იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან… "სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული, "მისი სახელი თინათინ… "მეფემან იხმნა ვაზირნი… "უბრძანა: "გკითხავთ საქმესა… "ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ… "ვაზირთა ჰკადრეს: "მეფეო… "თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია… "თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია, არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოთ გვითქვამს კვლა დია…	"ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია… "მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა… "მათ რომე დადგეს* საჯდომი, თქვეს: "უთქმელია ფასისა! "თინათინ მოჰყავს მამასა… "დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა** თავისა ხელითა მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა… "უკუგდეს და თაყვანი–სცეს მეფემან და მისთა სპასთა, დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა" (34–48 / 32–46).

* კ. ჭიჭინაძის გამოცემაში "დასდგეს".
** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში "დაადგა".

ამ სახედ, გიორგი მეფემ მიზანს მიაღწია ნახევრად: რუათველის ფანტაზიამ ქალის ტახტზე ჯდომის მაგალითი იპოვა მუსულმანთა სამფლობელოში, არაბეთში. სადღაა საღვთო წერილის ურყევი ავტორიტეტი? ეს ურყევი ავტორიტეტი ვაზირთა მოხსენებაშია, - ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია", რომელიც "მოსწრებული მხატვრული აფორიზმი" კი არ

არის, როგორც ფიქრობს ა. ბარამიძე[49], არამედ პერიფრაზია ქრისტიანული სწავლის ერთ–ერთი მთავარი დებულებისა, **-- არა არს** რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა. რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ (გალ. 3,28). ეს სიტყვები მოციქულისა ის ქვაკუთხედია, რომელზედაც აშენებულია "ვეფხისტყაოსანი" და რომლებმაც მოახდინეს უდიდესი რევოლუცია ქართველთა შეგნებაში ქალის ვაჟთან თანასწორობის საკითხში (შეად. 551), თუნდაც ისეთ საქმეში, როგორიც არის ტახტზე ჯდომა: ლაშას შემდეგ ტახტზე დაუბრკოლებლივ ავიდა რუსუდანი[50].

საიდან გაიგეს არაბთა ვაზირებმა, რომელთა სარწმუნოება ქალზე სულ სხვა შეხედულებისაა (ყურანი. 24, 31, 33, 59), პავლე მოციქულის ეს სიტყვები? გავეცნოთ შოთას "არაბეთს"! ამ ქვეყნის მეფე როსტევანი ტახტზე ახლად აყვანილ თინათინს დარიგებას აძლევს და ამ დარიგებაში ხმარობს შემდეგ ფრაზებს:

"ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების (51 / 49).

"რასაცა გასცემ – შენია, რას[*] - არა დაკარგულია" (52 / 50);

ახლად გამეფებული თინათინი ეუბნება მამას:

"რად დასწამებ სიმწარესა, ყოველთათვის ტკბილად მხედსა" –

ღმერთსა (117 / 113);

არაბეთის ლაშქართა სპასპეტი ავთანდილი ეტყვის ასმათს:

4. შეცოდება შვიდგზის თქმულა შესანდობლადო" (271 / 246).

ეს ლამაზი ფრაზები თავისთავად ისეთებია, რომ მათი წარმოთქმა მუსულმანებსაც შეეძლოთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მოგვაგონებენ ექვსი საუკუნით მაჰმადზე ადრე დაწერილი სახარების სიტყვებს:

1) " მზე მისი (ღმრთისა) აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა და სწჯმს მართალთა ზედა და ცრუთა" (მათე 5,45).

2) "ყოველი რაჲცა გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა" (შდრ. მათე 19,21).

3) "იგი (ღმერთი) ტკბილ არს უმადლოთათჳსცა და უკეთურთა" (ლკ. 6,35) და 4) "დაღათუ (ძმამან შენმან) შჳდ გზის დღესა შინა შეგცოდოს და შჳდ გზის მოაქციოს და გრქუას შენ: შევინანე, მიუტევე მას" (ლკ. 17,4). ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ზემოთ გარჩეული 895-896/836-837 სტროფებიც წარმოთქმულია ავთანდილისაგან ჩანს, შოთას " არაბეთში შეჭრილია ქრისტიანობა და შეჭრილია იმდენად, რომ, რაწამს როსტევან მეფემ მოისმინა ვაზირთა მოხსენება, - "ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხვადია",

მყის

"არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:

თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმა მშობელმან (45/43) ...

ვფიქრობთ, სინამდვილესთან ახლო ვიქნებით, თუ იმ არაბეთს, სადაც მეფე, ვაზირები და სპასპეტი ხელმძღვანელობენ ქრისტიანული დებულებებით, სადაც მთავარსარდლობდა "ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული" (757/710), და სადაც ადგილი ჰქონდა ზემოთ აღწერილ სურათს როსტევანის მიერ თავისი ასულის სამეფო ტახტზე აყვანისას, ჩავთვლით საქართველოდ და

როსტევან მეფის პიროვნებაში ვიცნობთ გიორგი მეფეს, რომელმაც 1179 წელს ნაჭარმაგევს მოიწვია შვიდთავე სამეფოთა მისთა წარმომადგენელნი და ... "**განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა** (მათითა) მეფე ყო თამარ თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოსზთა, იმერთა და ამერთა, ვაზირთა და სპარსალართა და სპასპეტთა, და დაადგა გვირგვინი ოქროჲსა თავსა მისსა"[51]. გიორგიმ დანარჩენშიაც მიბაძა როსტევანს: ახალგაზრდა და ცხოვრებაში გამოუცდელი ქალის ხელში რომ სახელმწიფო არ დასუსტებულიყო, თავისი თავი არ განაშორა საქმეთა მმართველობას, იგი დარჩა თანამეფედ თამარისა.
ამნაირად, თინათინისა და თამარის ტახტზე აყვანის ამბავის იგივეობა უნდა ჩაითვალოს დამტკიცებულად და ეს გამოისმოდეს იმ ყრუ გადმოცემაში, რომელიც მოცემულია წინასიტყვაობის " მიბრძანეს" და "თამარს ვაქებდეთ მეფესა"-ო და ბოლოსიტყვაობის (1742/1666) "გავლექსე მათდა საკამათებლად (ანუ ნ. მარის შესწორებით "საკუმარებლად"[52]), რაც უნდა ნიშნავდეს გასართობად, შესაქცევად, გონების სავარჯიშოდ, სახელმძღვანელოდ, თამარის სახით, ქალის სამეფო ტახტზე აყვანის აზრის (თუ ფაქტის) პოპულარიზაციის საყოფელად... მოკლედ გიორგი მეფის დინასტიურმა წადილმა საქართველოს მისცა "ღმრთისა სწორი მეფეთა მეფე თამარი" და გენიალური მხატვრული ნაწარმოები "ვეფხისტყაოსანი"!..

[*] კ. ჭიჭინაძის გამოცემაში "რაც".

ისმის საკითხი: როსტევან – თინათინ – ავთანდილისა და ვაზირთა მიერ გამოთქმულ ქრისტიანულ იდეებს იზიარებს თუ არა ავტორი? რუსთაველი, არამცთუ სავსებით იზიარებს მათ, არამედ, როგორც ავტორ – მშობელი ამ იდეების გამომთქმელ პირთა, წინა უსწრებს მათ და თავიდანვე ამჟღავნებს ნადებსა **საუნჯისა გულისა თჳსისა** (ლკ. 6,45):

"იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან" (იგულისხმება) დადგინებული[53], ამბობს იგი პირველი სტროფის პირველსავე სტრიქონში, რითაც გამოთქმულია ქრისტიანული დებულება თვით ხელმწიფის იდეის ღვთისაგან წარმოშობისა. ამ აზრს რუსთაველი იმეორებს: პირველად, 41/39 სტროფში, ვაზირთა პირით: "თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისგან დანაბადია"(აქ ტახტის მემკვიდრეობით გადაცემაც ღვთის კანონად არის აღიარებული), მეორედ, 1544/1474 სტროფში, ავთანდილის პირით: "ჩემი მზესა ტახტსა ზედა ზის მოქმედი **ღმრთისა ნებითა** " და მესამედ 1619/1546 სტროფში, როსტევან მეფის ნათქვამი, ავთანდილ არს "მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება". რომ რუსთაველის ეს რწმენა საღმრთო წერილიდან გამომდინარეობს, ეს ცხადია. პილატე ეკითხება იესო ქრისტეს: "არა უწყია, რამეთუ ჴელმწიფებაჲ მაქუს ჯუარ –ცუმად შენდა ჴელმწიფებაჲ მაქუს განტევებად შენდა? ჰრქუა მას იესო: არა გაქუს ჴელმწიფებაჲ ჩემი არცა ერთი, უკუეთუმცა არა მოცემულ იყო შენდა ზეგარდმო "(იოვ. 19,10 –11).

ესევე აზრია გამოთქმული როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაშიც: უფალი დაადგენს მეფეთა და გარდაადგენს;უფლებს ღმერთი მაღალი მეფობასა ზედა კაცთასა და რომლისაცა სთნდეს, მისცემს მას (დან. 2,21; 4,22); (ბრძანებს უფალი): **ჩემ მიერ მეფენი მეფობენ** (იგავ. სოლომ. 8,15; შეად. სიბრძნ. 6,63; დან. 4,29; 5,21; ზირ. 10,4; იერემ. 27,5-6; რომ. 13,1 და 16).

ამ სახედ, თუ რუსთაველის აზრით, ხელმწიფება მოცემულია ღვთისაგან და "ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია", ცხადია, ხელმწიფედ შეიძლება იყოს როგორც ვაჟი, ისე ქალიც. ერთსაცა და მეორესაც შეუძლია, ერთი მხრით, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და, მასთან დაკავშირებით, მოყვასთა დახმარება და პირადი ცხოვრების მოწესრიგება, ხოლო მეორის, - მათვე შეუძლიათ სახელმწიფოს არევ-დარევა, მოყვარეთა გაუბედურება და თავისი თავის განსაცდელში ჩაგდება. რას წარმოადგენდნენ ხელმწიფე-ვაჟები, ეს ცნობილი იყო ყველასათვის, როგორც საქართველოს, ისე სხვა ერების აწმყო-წარსულიდან; ამისთვის რუსათველს უნდა გამოეყვანა თავისი თხზულების მთავარ გმირად ისეთი ქალი-ხელმწიფე, რომელიც შეინარჩუნებდა თავისი სქესის ყველა დამახასიათებელ და მამშვენებელ თვისებებს და იმავ დროს იქმნებოდა სახელმწიფოს ღირსეული მეთაური. თუ "ვეფხისტყაოსანი"მოგვცემდა ასეთ მეფე-ქალს, მაშინ გამართლებული იქნებოდა ქრისტიანული დებულება: არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ (ანუ შოთას: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია), და რუსთაველის მსოფლიომხედველობის გამოცნობაც ადვილი გახდებოდა...

შევჩერდეთ აქ და მოვიგონოთ ერთი გარემოება, რომელმაც შეკრა და შებოჭა ჩვენი აზროვნება. ეს არის დღეს ცნობილი "ვეფხისტყაოსნის" მშვენიერ სხეულზე მიკორძებული ორი ხორცმეტი, წინასიტყვაობის და ბოლოსიტყვაობის სახით. ეს ხორცმეტები გვარწმუნებენ და ლამის ჩვენც დავიჯეროთ[54], რომ "ვეფხისტყაოსანი" არის ამბავი სპარსული (9), ლექსად გარდათქმული ქართულ ენაზე რუსთაველის მიერ (8, 1741/1645, 1745/1669) და რომ ამ ამბავის მთავარი გმირი არის ტარიელი (6,7, 1745/1669). მაგრამ, თუ ამ ჰიპნოზიდან გავითავისუფლებთ თავს და პოემის კითხვას დავიწყებთ 34/32 სტროფიდან, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ პოემის მთავარი დადებითი ხასიათის გმირი არ არის ტარიელი.

მართლადაც, ბუნებისგან არაჩვეულებრივი ძალითა და სილამაზით დაჯილდოებული და მშვენიერად აღზრდილ –გაწვრთნილი (352 /320,353/321) ტარიელი საუცხოო სარდალია და შეუდარებელი მეომარი (ლაშქრობა ხატაეთში, ბრძოლა ფრიდონის ბიძა-ბიძაშვილებთან, აღება ქაჯეთის ციხისა), მაგრამ სავსებით მოკლებულია ინიციატივას. ნესტან-დარეჯანის დაკარგვამდე ის არის აღმასრულებელი ამ თვითნება უფლისწულის ახირებისა და ბოროტი რჩევა –დარიგებისა; ავთანდილის

გაცნობის შემდეგ კი ხდება, უკანასკნელის ხელით, სატარებელ არსებად. საკმარისია აღვნიშნოთ შემდეგი:

ა) მიჯნურობით დაავადებულ ტარიელს წერს ნესტანი:

“ზედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია?

სჯობს, საყვარელსა **უჩვენენ საქმენი საგმირონია!**

ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,

აწ **მათნი ჯავრნი** ჩვენ ზედა ჩვენგან არ დასათმონია!” (419/377).

ამირბარი და მასთანვე ამირსპარსალარი იმის მაგიერ, რომ ამ საკითხის გამო (რომელიც მას თავში არც კი მოსვლია) ეთათბიროს თვით ფარსადან მეფეს და მიიღოს მისგან სათანადო განკარგულება, საკმაოდ თვლის საქმეთა გარეშე მდგომარე, განებივრებული ქალის სურვილს და არბევს ხატაეთს.

ბ) მეფე-დედოფლისაგან სათათბიროდ მიწვეული, გადასაჭრელად საკითხისა, - “აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, - სად მოვნახოთ?! “, ტარიელი იძლევა პასუხს:

“ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარების,

სხვამცა რა გკადრეთ![*] თვით იცით, მაგას რა მოეგვარების!..

მეფემან ბრძანა: “ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია,

თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ[**], მისებრივ[***] არ რომელია...

რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა;

ერთმანეთსაცა **უჭვრეტდეს**, სიტყვაცა აგრე სწბებოდა.

ჩემგან დაშლისა **კადრება** მათ ამბად არ ეგებოდა...

მოწმობა დავჭრთე”... (552-556/510-513).

ცხადია, მეფე-დედოფალი “ერთმანეთსაც უჭვრეტდეს”, მეფისაგან კანდიდატის დასახელების შემდეგ (დედოფალი მერე შეუერთდა მეფის სურვილს) იმ იმედით, რომ ტარიელი წამოაყენებდა თავის კანდიდატურას, მით უმეტეს, რომ მეფე-დედოფალი ტარიელს “საპატიოდ ზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად (616/573) (551/319, შდრ. 605/562), მაგრამ ტარიელმა გაბუტული ბავშვივით განაცხადა: “ვისცა სთხოვთ შვილსა

სასიძოდ, მას დიდად გაეხარების", "დაშლის კადრება" ვერ გაბედა და "მოწმობა დაჰრთო" იმჟამად, როცა თავისი თავის პატრონი თვითონ იყო!

გ) გაგზავნეს ხვარაზმშასთან კაცი, მას მეტად ესიამოვნა; გაგზავნილი კაცი ხვარაზმშამ დიდად დააჯილდოვა და თანხმობა განაცხადა. ფარსადანსაც გაუხარდა,

"კვლა გაგზავნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად" (557-514/514-516). როგორც ხედავთ, დრო ბევრი გავიდა, მაგრამ ტარიელს არც კი უზრუნავს, გამოენახა საშუალება უხერხული მდგომარეობიდან გამოსასვლელად და დაქორწინების საქმის მოსაგვარებლად, არც კი უნახავს ნესტანი. ის მხოლოდ "მეტმან სევდამან მისწურა**** გულსა დაცემად დანისად" (560/517), და როცა სამართლიანად გაჯავრებულმა ნესტანმა მიიწვია და უბრძანა: "მიკვირს, რად მოხვე***** მშლელი პირისა მტკიცისა, /გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა" (566/523), მეამიტად ეკითხება ნესტანს: "რა შეგცოდე, რა მიქნია, უცნობოსა (sic), ფერნამკრთალსა?", რაზედაც მიიღო ღირსეული პასუხი:

"... რას გეუბნა******, მტყუანსა და შენ მუხთალსა?

შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?!

შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი ჰრთულა ამას ნება,

შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება,

ღმერთმან ქმნას და დაგირჩინო******* ცუდად შენი ხელოვნება".

(557-8/524-5).

ამის შემდეგ გამართული სჯა-ბაასის დასასრულს, ტარიელი თავის მკლავზე იყურება (ტყუილად კი არ უწოდა ე. ნინოშვილმა თავის მკლავაძეს ტარიელი!): ხვარაზმელები "რა შემოვიდენ ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა,

" უჩვენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეომარობა,

ასრე დავხოცნე, შეეძლოს აღარა,******** არ, სახმარობა"

(584/541).

ამ ვერაგულმა და ყოვლად შეუწყნარებელმა წინადადებამ, - სამოყვროდ და სამეგობროდ მოწვეული ხალხის ამოწყვეტა, -ნესტანიც კი შეაშინა:

"დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქნება შუაკედლად.

რა მოვიდეს სიძე, მოკალ, მისთა სპასთა აუწყვედლად”.********* (585/542)

დასასრულ ნესტანი იძლევა ისეთ რჩევას, რომელშიაც შეზავებულია ცრუობა, ურცხვობა, ვერაგობა, მშობელთა უპატივცემლობა, მეფის დამცირება-შეურაცხყოფა, ქვეყნისა და სამშობლოს განწირვა და მხოლოდ და მხოლოდ თავმოთნეობა55:

“იგი **რა მოჰკლა**, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,

კადრე თუ: “სპარსთა **ვერა ვიქმ** ინდოეთისა ჭამასა,

ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,

არ დამეხსნები, **გაგიხდი** ქალაქსა ვითა ტრამასა!

ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნურცა ნდომა,

ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა, შემოკვდომა,

ხელთა მოგცეს თავი ჩემი, შეგვფეროდეს ერთგან სხდომა.

ესე **მეტად მომეწონა** თათბირი და გამორჩევა” - (587-589 /544-546),

ამბობს ტარიელი და კიდევაც იღებს ამ გამორჩევას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად: რაც სიტყვით მეფეს ვერ შეჰკადრა, იმაზე ასჯერ საქმით ჩაიდინა ნესტანის გამორჩევით. მაგრამ ბოროტად დაწყებული საქმე ბოროტადვე გათავდა: ნესტანი გადაკარგეს, ტარიელი გაიჭრა “ძებნად მისა” და ინდოეთი ჩაუვარდა მტერს ხელში (1370/1307, 5634/1561).

ამ უბედურების შემდეგ კი ტარიელი უავთანდილოდ ჭეშმარიტად რომ “საცოდავად გამოიყურება”56: რაც გაკეთდა ნესტანის განთავისუფლებისათვის, ყველაფერი ავთანდილის ჭკუის, გამჭრიახობისა და მოხერხებულობის საქმეა (ტარიელი მხოლოდ დამხმარე ძალაა[57]).

ასეთ პიროვნებას მთავარ გმირად, განსაკუთრებით დადებითი ხასიათისად, ვერ გახდის ვერც ცრურუსთველის ტირილი, - “ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი” (7), ვერც კ. კაპანელის “შებრალებისა და თანაგრძნობის უნაზესი განცდები”ტარიელის მიმართ, რომელიც “თავის ცრემლებით, გულისწუხილით, მოუსვენარი და ღელვილი სულით, სქესობრივი სიმთვრალით, ეროტიური ექსტაზით განსახიერებაა ბერძენთა დიონისესი, რომელიც ტანჯვასა და სულიერ ლოთობაშია”[58].

[*] კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “გკადროთ”.

[**] “ “საჩვენოდ”.

*** “ “მისებრი”.

**** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “მიმწურა”.

***** “ “ “მოხველ”.

****** “ “ “გეუბნო”.

******* “ “ “დაგარჩინო”.

******** “ “ “აღარას”.

********* “ “ “მათთა სპათა აუწყვეტლად”.

მაშ ვინ არის პოემის მთავარი, დადებითი ხასიათის გმირი, მამოძრავებელი ძარღვი მოქმედებათა?
ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ვეფხისტყაოსანის დედააზრია გამართლება დებულებისა, - “ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია”, ამისთვის ოთხ მთავარ გმირთა შორის[59] პირველობა მინიჭებული აქვს ორ ქალს, იმ განსხვავებით, რომ თინათინი გამოყვანილია დადებითი ხასიათის გმირად, ხოლო ნესტან-დარეჯანი -უარყოფითისა. ვაჟები კი -ავთანდილი და ტარიელი, როგორც ნაწილობრივ დავინახეთ კიდეც, “ტექნიკური აღმსრულებელნი” არიან ქალების სურვილისა, პირველი - თინათინისა, მეორე კი – ნესტან-დარეჯანისა.
დავასაბუთოთ!
რით იწყება “ვეფხისტყაოსანი”? თინათინის ტახტზე აყვანით (34-48/34-46)! ვინ მოუძებნა წამალი როსტევანის “დაღრეჯილობას?”- თინათინმა (119/114)! ვინ გაგზავნა ავთანდილი ტაირელის მოსაძებნად [60], წინა წელს დაგზავნილი კაცები რომ ხელცარიელნი დაბრუნდნენ? –(123-139/116-132)! ტარიელის პოვნისა და მისი თავგადასავალის შეტყობის შემდეგ ვინ გზავნის კვლავ ავთანდილს ტარიელის მისაშველებლად და ნესტანის გასათავისუფლებლად? – თინათინი (748-753/701-706)! რით მთავრდება “ვეფხისტყაოსანი”[61]? თინათინის ავთანდილთან დაქორწინებით და უკანასკნელის, როსტევანის მაგიერ, თინათინის თანამოსაყრდედ და თანამეფედ გამოცხადებით (1649/1546, 1630/1557, 1598/1526)!
ზნეობის მაღალ საფეხურზე თინათინი ადის მტკიცედ და ჩვენც სიამოვნებით ვადევნებთ მას თვალ-ყურს. მიუხედავად იმისა, რომ მეფის, ვაზირების ხასისა ჯარისა და სრულიად არაბთა გარდაწყვეტილებით, თინათინი გამოცხადებულია ქვეყნის მეფედ და მბრძანებლად, იგი”ტირს და ცრემლსა აფრქვევს”, რადგანაც “მამისა ტახტსა საჯდომად **თავი არ ეღირსებოდა**”.

მორჩილებით ყურს ათხოვებს მამის წრთვნასა და სწავლას და ტახტზე ასვლის დღეს აღნიშნავს ნაუფლისწულევი საჭურჭლის გახსნითა და გაცემით ისეთი სიუხვით, რომ
"არ დაარჩენს ცალიერსა* არ ყმასა და არცა ქალსა" (48-57/46-55).
გაიგებს თუ არა, რომ მეფე-მამას შეემთხვა "დაღრეჯილობა", მყის მიიჭრება მასთან "ფერნამკრთალი", მაგრამ მოერიდება შესვლას საწოლსა, ვინაიდან მეფეს "ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა" (106-108/102-104). როცა დრო მიეცემა და ნახავს მამას, ნამდვილი შვილებრივი სიყვარულით და თავმდაბლობით ესაუბრება მას და ჰკადრებს: "მე სიტყვასა დანაყბედსა"-ო, მაშინ როცა ეს დანაყბედი ერთადერთი გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან (110-123/106-116). აღსანიშნავია, რომ, თუმცა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა დატოვებულია როსტევანის ხელში, მაგრამ საჭირო შემთხვევაში თინათინი იქცევა ისე, როგორც ამას მოითხოვს საქმე მამისათვის უსიამოვნების მიუყენებლად; მაგალითად, მამის დაუკითხავად გზავნის სპასპეტს სამი წლის ვადით ტარიელის მოსაძებნად და ამას ახერხებს ისე, რომ როსტევანს ჰგონია, ავთანდილს მე ვგზავნი სამსახურებრივ მივლინებაშიო (152-155/143-146). იქაც კი , სადაც წყდება მისი პირადი საქმე- გათხოვება, თინათინი ერთი სიტყვითაც არ აგრძნობინებს მამას, რომ ამ საქმეში საჭიროა მისი შეკითხვა მაინც (თუმცა საქმე კეთდება თანახმად მისი სურვილისა) (1615-1621/1542-1515).
მივაქციოთ ყურადღება თინათინის დამოკიდებულებას ავთანდილთან. როგორც ავთანდილი მოელოდა (44/42), მას, სპათა სპასპეტს, ხშირად უხდებოდა თინათინის ნახვა, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში თინათინს ერთხელად არ მიუცია საბუთი ავთანდილისათვის ეფიქრა, რომ ის მისი მიჯნურია. დავალების მიცემისათვის დაბარებულსაც კი უხვდება "ქუშათ" და მხოლოდ საქმეზე საუბრის დამთავრების შემდეგ უმჟღავნებს, "შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია", მეც მიჯნურად გთვლი, მაგრამ ჩვენი სიყვარულის გამოცხადება შეიძლება სამი წდლის შემდეგ, როდესაც დაბრუნდები ტარიელის ძებნიდანო (129-140/122-133). ავთანდილმა სამი წლის მიწურულზე ტარიელი იპოვა, ყოველივე თინათინს მოახსენა, თანაც დასძინა: ტარიელისათვის
"დრო დამიც ჩემგან მისლვისა**, მითქვამს დადება თავისა,
მზე შემიფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახედავისა"-ო.
თინათინმა პირად ინტერესებზე მაღლად დააყენა ავთანდილის სურვილი (და მისი სურვილიც ეს იყო! (ტარიელისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და მოუწონა მიცემული სიტყვის არგატეხა:
"შენ არგატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა,
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა
"ძებნა წამლისა მისისა..."
დაუდასტურა მიცემული სიტყვის შეურყევლობა - ქმრად შეგირთავო -და ნიშნად ამა სიმტკიცისა მისცნა მარგალიტნი "მის მზისა მკლავსა ნაბამნი" (749/702, 753/706, 768/719).

[*] კ. აიჭინაძის გამოცემაში "ცარიელსა".
[**] " " "მოსვლისა".

ამის შემდეგ გასაგებია კ. კაპანელის სიტყვები: დააკვირდით რა გონებრივი და ზნეობრივი კულტურა, თავდაჭერა ეტყობა თინათინს მთელს პოემაში, განსაკუთრებით მამასთან და ავთანდილთან ურთიერთობაში [63].

ეს გონებრივი და ზნეობრივი კულტურა და თავდაჭერა არის თუ არა შედეგი ქრისტიანული სწავლა-მოძღვრებისა, რომლის მოსმენის მოწმენი ჩვენ ერთხელ უკვე შევიქმენით? (50-53/48-51) ვფიქრობთ, ამ საკითხის პასუხი ერთადერთია: თინათინი ქრისტიანი ქალია და საუკეთესო ქრისტიანია. აი მისი სახელმძღვანელო მცნებები: **პატივ-ეც მამასა შენსა დედასა შენსა; შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი; ეძიებდით პირველად სასაუფეველსა ღუთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი მოგენიჭოს თქუენ; ნუ თავისა თჳსისასა ხოლო კაცად-კაცადი თქუენ (გან)ი ეძიებნ, არამედ მოყუასისაცა თჳოეული თქუენ (გან)ი** (გამოსლ. 20,12; მრ.12,31; ლკ. 12,31; ფილიპ. 2,4 შდრ. სტრ. 750^{1-2} /703, 753^{2}/706, 853^{2}/798, 1426^{4}/1361). ტყუილად კი არ ეძებს აკად. ნ. მარი[64] "ვეფხისტყაოსანის" ქალების ტიპს ქართველ მონაზვნებში. ჩვენ მეტსაც ვიტყვით: თინათინი ღვიძლი შვილია სახარებისა.

არც ნესტან-დარეჯანია უცხო ქრისტიანობისათვის; თუმცა მის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ კიდევ დავაკვირდეთ მას: ეს ინდოთა მეფეთა-მეფის ერთად-ერთი ასული, თინათინზე, შეიძლება, უნიჭიერესი და ულამაზესი, შვიდის წლის ჩააბარა მამამ აღსაზრდელად თავის ქვრივ დას, - "დავარ ქაჯს", მოათავსა ცალკე კოშკში და იშვიათად განიცდიდა მშობლების ნახვა-ალერსსა და გავლენას (360-363/327-330). ნესტანის აღმზრდელი, თუმცა ქრისტიანობას იცნობს (619/576=მათე 19, 17: ლკ. 38, 19) და თავის ძმისწულსაც აცნობს პავლე მოციქულის ნაწერებს (454/412=ეფ. 5, 22-33: კოლ. 3, 18), მაგრამ ეს ცნობა მეტად სუსტია. დავარ ქაჯის მოწაფე ადრე იწყებს "დიაცურად" (585/542) ცხოვრებას, - თავისუფლად აწარმოებს სააშიკო (401/359) მიწერ-მოწერას, ეძებს ტარიელთან საიდუმლოებით მოცულ შეხვედრებს, ერევა ისეთ საქმეებში, რომლებიც მას არ ეკითხება (419/377), იჩენს თვალხარბობას (538/496) და სულსწრაფობას (598-599/555-556), ოცნებობს მამის სიცოცხლეშივე ხელმწიფედ გახდომას (586/537 და, საზოგადოდ, ზრუნავს მხოლოდ პირადი გრძნობების დაკმაყოფილებისათვის, რამაც ჩააგდო, როგორც ვიცით, განსაცდელში თვით ნესტანი, ტარიელი და ინდოეთიც თავისი მეფე-დედოფლით. ამისთვის არის, რომ ნესტანს თავდაპირველად ჩვენ ვხვდებით გულგრილად; თანავუგრძნობთ, როდესაც ის (მისივე სიტყვით) "გასაჯა" და ტყვე-ყო "სოფელმან" და "უყო" ის, "რაცა მას შეეფერების" (1306/1240, 1348/1285, 1357/1294,1358/1295,1361/1298,1362/1299 შეად 1. იოან.

2, 15-16), და ვეგებებით აღტაცებით, როცა განცდილმა ჭირმა და მწუხარებამ (საქ. მოც. 14, 22) ის გამოაფხიზლა და დააწერინა მსოფლიო ლიტერატურაში სწორუპოვარი ჰიმნი მონანისა (1356/1293-13721309)[62]! მონანულთა და ტვირთმძიმეთა თავშესაფარი ხომ ქრისტიანობაა! ავთანდილის ამონაკვნესი, - "მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან (სოფლისაგან) განაწირსა" (1010/951), რომელიც სავსებით გამოხატავს ნესტანის სულისკვეთებას, მხოლოდ პერიფრაზია იეზეკიელ წინასწარმეტყველის სიტყვებისა: "არა მნებავს მე სიკვდილი უთნოჲსა, არამედ მოქცევა მისი გზისაგან მისისა და ცხოვნება მისი" (33,11), თვითნებობით სახლისაგან მამისა გასული უძღები შვილი (ლკ. 15), როდესაც მოეგო თავსა თვისსა, თინათინის დამხმარე ხელით, კვლავ დააბრუნა მამამან კეთილმან სახლსა თვისსა, რათა არღარა განეშოროს მას.

მართლმორწმუნე ქრისტიანი შეიძლება შეაშფოთოს ნესტანის მხოლოდ შემდეგმა სიტყვებმა:

"შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,

ჩემი სთქვა, სხვათა მიჰხვდაო იგი ალვისა ტანითა,

არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა **ნანითა;**

ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა.

შენმა მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს[*] მთვარე შენი,

აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან[**] დიდნი

კლდენი" (1365-66/1302-03).

მართალია, ქრისტიანული სწავლით თავის მოკვლა ითვლება დიდ ცოდვად, სასოების დაკარგვად, მაგრამ ეკლესიის მიერ წმიდათა შორის შერაცხილ არიან დომნინა და ასულნი მისნი ვირინეია (ვერონიკა) და პროსკულია (პროსდოკა), რომელნიც ქალწულების დაცვის მიზნით ხიდიდან წყალში გადავარდნენ და თავი დაიხრჩვეს, და პელაგია ქალწული, რომელმაც იმავე მიზნით მაღლა სართულიდან "თავი გარდიქცია" და მიწაზედ დავარდნისთანავე განუტუვა სული.

ამ სახედ, რუსთაველმა "ვეფხისტყაოსნის" თ გაამართლა დებულება, - "ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია": ქრისტიანული სწავლით განბრძნობილმა "ძუ ლეკვმა", თინათინმა, მის მიერ მიწვეული გონიერი კაცის დახმარებით, სახელმწიფოც კეთილად განაგო, პირადი ცხოვრებაც

სასურველად მოაგვარა, საკუთარი უგუნურებით სიკვდილის პირას მიღწეული ტარიელიც (702/656) სამოქმედოდ აამოძრავა, ქაჯეთის ციხეში დატყვევებული ინდოეთის უფლისწულიც განათავისუფლა და მტერთაგან აკლებულ-დაჭრილი სამშობლოს დასაბრუნებლად ინდოთა მეფეს ჯარიც გაატანა!..

* კ. ჭიჭინაძის გამოცემაში "მოხვდეს".
** " " "მახლავენ".

***

"ვეფხისტყაოსნის" ავტორის ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხი რომ საბოლოოდ ამოიწუროს, შევადაროთ ამ პოემის ცალკე სტროფები და სტრიქონები ქრისტიანული სწავლის პირველწყაროს – საღვთო წერილს. თავისთავად ცხადია, რომ დროისა და "მოცალეობის" უქონლობის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია ყველა ასეთი სტროფების აღნუსხვა. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ "ვეფხისტყაოსნის" **თითქმის** ყველა სტროფი მაჩვენებელია შოთას ქრისტიანობისა.

ნათქვამს უნდა დავუმატოთ ერთი შენიშვნაც: შოთა პოეტია და არა მქადაგებელი ან ღვთისმეტყველი, რომელთათვის სავალდებულოა საღვთო წერილის ტექსტის უცვლელად მოყვანა. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსთაველი გვიხატავს სამუსულმანო მსოფლიოს, რის გამო განცხადებულად, პირდაპირ საქრისტიანო სწავლის პირველწყაროს ადგილების მოყვანა შეუფერებელი იქნებოდა. შოთას სტროფებსა და საღვთო წერილის ტექსტებს შორის არის, უმეტეს შემთხვევაში, არსებითი, შინაგანი მსგავსება. და თუ საღვთო წერილის გარდა შოთა სარგებლობს და მოჰყავს სხვადასხვა ფილოსოფოსთა, მწერალთა და მოძღვართა აზრები[66], ეს საზოგადო ქრისტიანულ მსოფლიომხედველობას არ უშლის: შოთამ ყოველივე ცნობა (ჩასასმელია νόημα, cogitatio, ðãçóì, ïîìûøëãíèã), პავლე მოციქულის თანახმად, **წარმოსტყუენა დამორჩილებად ქრისტესა** (2 კორ. 10,5).

"ვეფხისტყაოსნის" 34/32 სტროფის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ამისთვის გადავდივართ 47-48/45-46 სტროფებზე, სადაც აღწერილია თინათინის ტახტზე აყვანა. ცხადია, შოთას	"თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა, დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა* თავისა ხელითა, მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა ...	"და გამოიყვანა" (იოდაი მღვდელთმთავარმა) ძე მეფისა, და დადვა მას ზედა დიადიმა და წამემა (სამეფო რეგალიები) და დაადგინა იგი მეფედ და ჰრქუეს: "ცხოვნდეს მეფე!" და აჰა მეფე დადგა ხარისხთა ზედა თჳსთა, ხოლო (მე) სავალსა ზედა (ტაძრისასა), მთავარნი და

დროინდელ საქართველოში, ბიზანტიელების გავლენით, უკვე იყო გამომუშავებული რთული ცერემონიალი მეფეთა კურთხევისა[67], მაგრამ მხატვარი სარგებლობს ნეშტთა წიგნის (2,23. 11-13) უბრალო აღწერილობით:	უკუდგეს და თაყვანისცეს მეფემან და მისთა სპათა, დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა, ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა[**] ხმათა”.	საყჳრნი და უხუცესნი-გარემოჲს მეფისა, და ყოველი ერი ქვეყანისაჲ იხარებდეს და ჴმობდეს საყჳრითა და გალობდეს ორღანოთა შინა გალობასა და აქებდეს ქებით”.
$51^1/4$	“ვარდთა დ ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მიეფინების”.	**მათე 5, 45:** “მზე მისი (ღმრთისა) აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წჳმს მართალთა ზედა და ცრუთა. “, (შეად.კ.ნ.35).
$51^3/49$	“უხვი ახსნილსა დააბამს იგი თვით ების, ვინ ების.	**იგავ. სოლომ. 22,9**:მოგვყავს რუსულად, ვინაიდან, სამწუხაროდ, ქართული თარგმანი ვერ გადმოგვცემს დედანის აზრს:”ðèëîñØðÞíûé ÞóÞØò ÞëîχîñëoÞëÿØì, ïîòîìó ÷òî ÞÞØò ÞØÞíîìó îò õëØÞÞ ñÞîØχî. ºîÞØÞó è ÷Øñòü ïðèîÞðØòÞØò ÞÞþùèé ÞÞðû, è ÞÞæØ îÞëÞÞØÞÞØò ÞóøØþ ïîëó÷Þþùèõ îíûØ”.
$52^2/50$	“უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, “ იგიცა, ვინ ორგულია”[68].	
$52^4/50$:	“რასაცა გასცემ შენია, რას[***] არა –დაკარგულია”.	**იგავ. 19,17**:”რომელი სწყალობს გლახაკსა,ავასხებს ღმერთსა, ხოლო მიცემისაებრ მისისა მიე- გოს მას” ან და: მათე

		19,21: “ყოველი, რაჲცა გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა”. შეად. ლკ. 18,22; მათე 6,19,20; 1 ტიმ. 6,18-19; საქმე 20,35.
62^{3}/60:	“ყველასა გასცემს ასული თქვენი”.	**ფსალმ. 111,10**: “განაბნია, მისცა გლახაკთა”. შეად. 2კორ. 9,9.
103^{4}/99:	“მასვე (ღმერთსა) მადლი, ესე იყო წადილი და მისი ნება”.	**ფსალმ. 113,11**:”ღმერთმან ჩუენმან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა ყოველივე, რაჲცა უნდა, ქმნა”.
117/113:	”რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა”.	**ფსალმ. 33,8**:”განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი”,შეად. ლკ. 6,35
148^{4}/139:	”ხამს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიც წესადრე”.	**იოვან. 15,13:** “უფროჲსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს”.
171/158:	”გლახაკთა მიეც საჭურჭლე”.	**ფსალმ. 111,10**: განაბნია,მისცა გლახაკთა”.
179^{2}/164:	”მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი”.	**ფსალმ.90,11**:”ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთჳს, დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა”.
204^{4}/135:	”თავსა ახლად ვერვინ იშობს”.	**იოან.3,4:”**ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თჳსისასა შესლვლად მეორედ და შობად?”
208^{1}/191:	”მოკვე****, გიჯობს	**1. კორ.9,15**:”უმჯობჱს არს

	სიცოცხლეს აუგიანსა?”	ჩემდა სიკუდილი უფროჲს, ვიდრეღა სიქადული ჩემი და-თუ ვინმე-აცუდოს”.
271[4]/246:	”შეცოდება შვიდგზის თქმულა შესანდობლად”.	**ლკ. 17,4:** “დაღათუ შჳვიდგზის დღესა შინა შეგცოდოს (ძმამან შენმან) და შჳიდგზის მოაქციოს და გრქუას შენ: შევინანე, მიუტევე მას”. შეად. მათე 18,22.
332[4]/302:	“არს უკეთესი, რაცაღა სწადს განგებასა ზენასა”.	**ეფეს. 3,20:**” (ღმერთი) შემძლებელ არს უფროჲს ყოვლისა ყოფად უმეტჳს, რომელსა ვითხოვთ, გინათუ ვსცნობთ”.
337[1-2]/306:	” ყმასა უთხრა: ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, ხამს თუ***** მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს”.	**იოან.15,13**:”უფროჲსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თჳ სი დადვას მეგობართა თჳსთათჳს”.
337[3]/306:	”ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, “თუ მეორე არ წაწყმიდოს”.	**ფსალმ.74,7:**”ღმერთი მსაჯულ არს: ესე დაამდაბლის და ესე აღამაღლის” **მეორე სჯ.32,39**: იტყჳს უფალი:”მე მოვაკუდინი, მე ვაცხოვნი, მე მოვწსყლი და განვჰკურნი”,შეად.სიბრძ. სოლ.16,13;ტობ.13,2
364[4]/331:	გაბაონი პალესტინის ქალაქია, მრავალჯერ ნახსენები საღვთო წერილში.	
379[3]/339:	”ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყივ ავისა მქმნელია”.	**1. იოან. 2,15-16**:”თუ გიყუარნ სოფელი ესე, რამეთუ ყოველივე რაჲცა არს სოფელსა შინა - გულის-თქუმა ჴორცთა, გულის-თქუმა თუალთა და

		სილაღე ამის ცხოვრებისა არს”.შეად.
429[2]/387:	”მეფე ინდოთა არისმსცა ღმრთულებ****** ძლიერი”	იქვე 5,19. **ფსალმ. 88,19-21**:”დავდევ შეწევნა ძლიერსა ზედა (დავით მეფესა)... მკლავმან ჩემმან განაძლიეროს იგი”
454[1]/412:	”თუმცა მართებს დედაკაცსა მამაცისა******* დიდი კრძალვა”.	(იტყვის უფალი**).** **ეფეს. 5,22-23**:”ცოლნი თჳსთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა; ცოლსა რათა ეშინოდეს ქმრისა”.
474[1]/432	”კარგი კაცსა ზედა აზომ თურმე******** არ წახდების”.	შეად. კოლ. 3,18. **ეფეს.6,8**:”რაჲცა ვინ ქმნეს კაცად-კაცადმან კეთილი, იგიცა მოიღოს უფლისა მიერ”.
510[3-4]/468	”ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავამგვანე, ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე*********”.	შეად.2 კორ. 5,10. **რომ.15,1-2**:”თანა-გუაც ჩვენ, ძლიერთა,უძლურებათა მას უსუსურთასა ტჳრთვად ...კაცად-კაცადი მოყუასსა სათნო ეყოფოდენ კეთილისათჳს, აღსაშენებელად”.
512[1-2] /470:	”მე ვჰკადრე**********: ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით********** თქვენცა წყალობა	**ფსალმ. 77,38**:”ღმერთი მოწყალე არს და ულხინოს ცოდვათა მათთა და არა განხრწნეს და მრავალგზის გარე მიაქცია გულის-წყრომაჲ

	მას ღონე გაცუდებულსა”.	მისი და არა აღაგზებდა ყოველსა რისხვასა მისსა”. შდრ. ფსალმ.102,3; ნეემია 9,18; იერ. 31,34; მიქ.7,18
558^{3}/515:	”მოგვხვდა ღმრთისაგან ჩვენ რომე ვინატრიდითა”.	**ფსალმ. 20,2**:” თხოვაჲ გულისა მისისაჲ მიეც მას და ნებაჲ ბაგეთა მისთაჲ არა დააკლე მას”. შეად.ფსალმ. 36,4, 77,29.
585^{4}/542:	”ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად”.	**ისაია 32,16**: “(მაშინ) განისუენებდეს უდაბნოსა შინა მსჯავრი და სიმართლემან შორის კარმელისა (=ვენახი, ვაზი მსხმო) დაიმკჳდროს”.
582^{1}/539:	”გონიერი, ხამს,აროდეს არ აჩქარდეს”.	**ეკლ.5,1**:”ნუ ისწრაფი პირითა შენითა და გული შენი,რათა არა სწრაფოდეს გამოღებად სიტყუასა”. შეად.იქ. 9,17; ზირ. 5,13.
592/552:	აღვსება ეწოდება აღდგომის დღეს, რომელიც იდღესასწაულება მთვარის აღვსების,გავსების შემდეგ ...	
606^{3}/563:	”მაგრა თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა”.	**ფსალმ.88,14**: სიმართლე და განკითხვა საფუძველ არს საყდრისა შენისა”; **იგავ. ს. 16,10** ”განრჩევა ბაგეთა შინა მეფისათა, ხოლო სამსჯავროსა შინა არა სცთეს პირი მისი”.

619[3]/576:	”იცის ღმერთმან სახიერმან”.	**მათე 19,17**:” არვინ არს სახიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი”.შეად.ლკ. 18,19
631[4]/588:	”ვთქვი თუ: ღმერთსა ვერას ვჰკადრებ, რაცა სწადდეს, აგრე ვყოცა”.	ლუკა 22,42:”ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ”. შეად. მათ.6,10; ლკ. 11,2.
651[1]/608:	”აწ იგი იქმნას, რაცაღა ენებოს ღმრთისა წადილსა”.	**მათე. 6,10**:”მამაო ჩვენო! იყავნ ნებაჲ შენი”; შეად. ლკ. 11,2; 22,42. ფსალმ. 113,11.
676/633:	”კვლაცა მითხრა: ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს, მას ლახვარსა მოაშორვებს, თუმცა პირველ გულსა უხებს, იგი მოგვცემს წყალობასა	**1 კორ. 10,13**: ”სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქუენ განცდად უფროჲს ძალისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელისა თანა გამოყვანებაჲცა, რათა შეუძლოთ დათმენად”.

* კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “დაადგაა”.
** “ “ “ტკბილთა”.
*** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “რაც”.
**** “ “ “მოჰკვე”.
***** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “ხამსო”.
****** “ “ “არსმცა ღმრთისაგან”.
******* “ “ “მამაკაცის”.
******** “ “ “მამაკაცის”.
********* “ “ “სიმგულვანე”.
********** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “ვკადრე”.
********** “ “ “თქვენცა უყავით”.

ჭირსა მისსა, ზეცით
მოგვიქუხებს,
ლხინად შეგვიცვალებს არა
ოდეს შეგვაწუხებს”.

“…რა კაცსა სოფ ე ლმ ა ნ
მისცეს წადილი გულისა,
ხსოვნა არა ხამს ჭირისა,
ვით დღისა გარდასულისა”.

“ვა! სოფელმან სოფელს
მყოფი ყოვლი დასვა
ცრემლთა დენად”.

“ხამს მოყვარე
მოყვრისათვის თავი ჭირსა
არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის
სიყვარული გზად და
ხიდად.

“საწუთრო კაცსა ყოველსა
ვითა ტაროსი უხვდების,*
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა
რისხვით მოუქუხდების”.

“შენ არგატეხა კარგი გჭირს
ზენაარისა, ფიცისა.
ხამს გასრულება მოყვრისა
სიყვარულისა მტკიცისა”.

“ვერ გაუტეხ ზენაარსა, ვერ
გავსწირავ ხელი ხელსა,
რამცა სადა გაუმარჯვდა
კაცსა, ფიცთა გამტეხელსა”.

ფსალმ. 70.20: “რაოდენნი მიჩუენენ
მე ჭირნი მრავალნი და ძჳრნი! და
კუა-ლად მაცხოვნე მე, და
უფსკრულთაგან
ქუეყანისათა აღმომიყვანე მე!” შეად.
იოან. 16,20-22; ოსე 6,1-2.

იოან. 16,21: “დედაკაცი, რაჟამს შობნ,
მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი
მისი; ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ,
არღარა
მოეჴსენის ჭირი იგი სიხარულითა
მით”.

იოან. 16,33: “სოფელსა ამას ჭირი
გაქუს”. შეად. 1 იოან. 5,19.

1 იოან. 3,16: “ამით ვცნათ სიყვარული
მისი, რამეთუ მან სული თჳისი
ჩვუენთჳს დადვა: ჩუენსა თანა გუაც
ძმათათჳს სულითა ჩუენითა
დადებაჲ”. შეად. იოან. 15,13.

ფსალმ. 29,6: “მწუხარსა განისუენოს
ტირილმან, ხოლო ცისკარსა
სიხარულმან”. შეად. იქ. 29,12; 125,6;
ის (აია) 54,8; იერ. 31,13.

რიცხვთა 30,3: “კაცმან, რომელმან
აღუთქუას უფალსა, ანუ ფუცოს
ფიცი, არა განაცრუვოს სიტყუაჲ
თჳსი,
ყოველი რაოდენი გამოჴდეს პირისა
მისისაგან, ყოს იგი”. შეად. ლუკა 27,2;
მეორე სჯ. 2321; ეკლ. 5,3—4.

იეზ. 17,19: “იტყჳს ადონაი უფალი:
აღთქუმაჲ ჩემი, რომელსა გარდაჴდა
(კაცი), და ფიცი ჩემი, რომელი
შეურაცხ-ყო, მივსცე იგი თავისა
მიმართ მისისა” (îèðãùó íã ÿîëîÿó ãÿî).

“წასლვა ჩემი გულსა თქვენსა არ ეწყინოს, არ დაჭმუნდეს, თავსა ჩემსა გაგებული იქმნას, რაცა ღმერთსა უნდეს”.	**ფსალმ. 36,23:** “უფლისა მიერ წარემართების სლავაჲ კაცისაჲ”. შეად. იგავ. ს. 20,18 (24); მთ. 10,30; ლკ. 12,7.
“ცუდთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჭმუნვებს”.	**1 კორ. 15,33:** “განხრწნიან წესთა კეთილთა ზრახვანი ბოროტნი”.
“კაცსა ფიცნი გამოსცდიან”.	**ებრ. 6,16:** “ყოვლისა ცილობისა მათისა დასასრულსა დამამტკიცებელად ფიცი არს”. შეად. გამოსლვ.22,11.
“რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა”!	**ამოსი 3,2:** “(სიტყვა უფლისა): შური ვიძიო თქუენ ზედა ყოველთათჳს უკუთურებათა ქუეყანისათა”. შეად. გამ. 20,5; 34,7; რიცხ. 14,18.
“კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა”.	**რომ. 13,10:** “სიყუარულმან მოყუასსა თჳსსა ბოროტი არა უყვის”. შეად. 9 კორ. 13,7; იოან. 15,13.
“წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ, ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ. “სიყვარული აღგვამაღლებს” ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ”.	სახეში აქვს **1კორ. 13,4—8** და მთლიანად ეს თავი: “სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ, სიყუარულსა არა ჰშურნ, სიყუარული არა მაღლონ, არა განლაღნის, არა სარცხჳნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა., არა განრისხნის, არად შერაცხნის ბოროტი.არა უხარინ სიცრუვესა ზედა… ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ, სიყვარული არა სადა დავარდების”. შეად. 1 პეტრე 4,8: ფილიპ. 2,3: რომ. 15,1: გალატ. 6,3: კორ. 8,1: სიონ. თ. 3 და 4.
“ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად”.	**ფსალმ. 60,3—4:** “კლდესა ზედა აღმამაღლე მე, მიძლოდი მე, რამე თუ იყავ ჩემდა სასო, გოდოლ მტკიცე წინაშე პირსა მტერისასა”. შეად. მიქ. 5,9; ლევიტ. 26,6—9.
“ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოველთა	**ფსალმ. 45,1:** “ღმერთი შესავედრებელ და ძალ ჩუენდა, შემწე ფრიადთა ჭირთა შინა”. შეად. ფსალმ. 59,11; 123,7.

მიწიერთად”.	123,7.
“ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი მერთად”.	**საქ. მოც. 17,26:** “უფალმან განაჩინა დაწესებულნი საზღვარის დადებანი დამკჳდრებისა მათისანი” (კაცთანი). **იობ. 42,2:** “უწყი, უფალო, რამეთუ ყოველი ძალ-გიც, ხოლო არარაჲ არს შეუძლებელ შენდა”. შეად. მთ. 19,26; ლკ. 1,37.
“არვის ძალუც ხორციელსა განგებისა გარდავლენა”.	**რომ. 9,19:** “ნებასა მისსა (ღმრთისა) ვინ-მე წინაღუდგა?” შეად. ეს. 46,10; იერ. 49,19.
“სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა”.	**1 კორ. 9,15:** “უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი უფროჲს, ვიდრეღა სიქადული ჩემი და-თუ ვინმე-აცუდოს”…
“ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი, მისგან ყოველი გასწორდეს** სუსტი და ძალგულოვანი, ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი”.	**წარდგომა ანდერძისა:** “ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე საწუთრო. რაჟამს სოფელი ყოველი შევიძინოთ, მაშინ საფლავივე დავიმკჳიდროთ, სადა-იგი შთავლენან ყოველნივე ერთბამად, მეფენი და მთავარნი, მდიდარნი და გლახაკნი”… შეად. ზირ. 40,1—7.
“სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი”.	**2 მაკ. 6,19:** ძველად თარგმნილი დაკარგულია, მეთვრამეტე საუკუნეში სლაურიდან გადმოღებული მეტად ბუნდოვანია, მოგვყავს რუსულად: “(ვëßßçîð), ïðßßïî÷èòßÿ ñëßßíóþ ñìßðòü îïîçîðßííîé æèçíè (ßîÿðîßîëüíî ïîøßë íß ìó÷ßíèß…)”.
“ცთების და ცთების***, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად”.	**მათე. 24,42:** “იღჳძებდით უკუე, რამე თუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს”. შეად. მთ. 25,13; მაკ. 13,33.
“მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი არას მქონები”.	**იაკ. 1,27:** “მსახურება წმიდა… ესე არს: მიხედვაჲ ობოლთა და ქურივთაჲ ჭირსა შინა მათსა”. შეად. ეს. 61,1—2; 58,6; ფსალმ. 111,10; მეორე სჯ. 15,11; ლკ. 4, 18; 2 კორ. 9,8—9; ფსალმ. 145,8—9.

“ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, (ღმერთო), ზოგჯერ კეთილთა მზათაო”.	**ფსალმ. 70,20:** “რაოდენნი მაჩუენენ მე ჭირნი მრავალნი და ძჳრნი! და კუალად მაცხოვნე მე, და უფსკრულთაგან ქუეყნისათა აღმომიყვანე მე”.
“ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ფლობ ქვენათ ზესა”.	**საქ. მოციქ. 4,24:** “უფალო ღმერთო, შენ ხარ, რომელმან ჰქმენ ცაჲ და ქუეყანაჲ…”
“ღმერთო, ღმერთო მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე, შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე, მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე”.	**ფსალმ. 90.3—6:** “(ღმერთ)მან გიჴსნეს შენ საფრჴისა მისგან მონადირეთაჲსა,… ბეჭთსაშუალითა მისითა გფარვიდეს შენ,… არა გეშინოდეს შიშისაგან ღამისა,ისრისაგან, რომელიფრინავნ დღისი,… წყლულებისაგან****, რომელი ვალნ ბნელსა შინა, სენისაგან ***** და ეშმაკისა შუადღისა”. შეად.
“შენ თუ უშმაგო მგონიხარ, ვარმცა ურია მე ლევი, კვლა მაგის მეტად ნუ მასმენ თვარე მე სრულად გელევი”.	2.მეფ. 22, 31 სახეში აქვს სისასტიკე ებრაელთა მამათმთავრის ლევისა, რომელმაც სავსებით ამოწყვიტა სიქემელნი მამაკაცეკბი. **შექმნათაჲ თავი 34:**
“გამოჭრილვარ სახელით ჩემით ვით ირემი ძებნად წყლისად”.	**ფსალმ. 41,1:** “ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა”.
“ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა”.	**2 კორ 1,23:** “მე მოწამედ ღმერთსა ვხადი”.
“ჭირისა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა”.	**2 თესალ. 1,4**: “ჩუენ თქუენთჳს ვიქადეთ,… მოთმინებისა მის თქუენისათჳს და სარწმუნეობისა ყოველთა მათ შინა დევნულებათა თქუენთა და ჭირთა, რომელთა თავს-იდებთ”. შეად. მთ 10,22; მარკ. 13.13
“თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა”.	**იაკობ 1, 14:** “კაცად-კაცადი განიცადების თჳსისაგან გულის-თქუმისა”.

“არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა, არ იხმარებ, რა ხელსა ჰხადი საუნჯესა დაფარულსა?”	**ისო ზირ. 20,30:** “სიბრძნე დაფარული და საუნჯე გამოუჩენელი რა სარგებელ არს?” შეად. იქვე 41,17.
“არა თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების?	**რომ. 14,8**: “გინათუ ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ, გინათუ მოვწყდებით, უფლისა მიერვე მოვწყდებით”. შეად. მთ. 10,19-30: ლკ. 12,6.
“გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს”.	**იგავ. სოლ. 9,9:** “ნუ ამხილებ უკეთურსა. რათა არა შეგიძულოს შენ: ამხილე ბრძენსა და შეგიყუაროს შენ”. შეად. ის. ზირ. 21,22
“მაგრამ ბოლოდქ ლხინსა.მისცემს, ვინცა პირველ ჭირსა გაძლებს”.	**მათე. 10,22:** “რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს”. შეად. იქვე 24, 13; მარკ. 13,13; ლკ. 21,19; ფსალმ. 70.20

*კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “უხდების”.
** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “გასწორდეს ყოველი”.
*** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “ღუაწლისაგან”
**** მზ. შანიძის გამოცემაში “ღუაწლისაგან”.
***** შემთხუევისაგან.

“…ღმერთო, რომელი არ ითქმი აცთა ენითა”.	**სიბრძ. სოლ. 14,21**: “უზიარებელი სახელი”. **სულიწმიდის მწუხრის პირველი ლოცვა:** “უფალო მიუთხრობელო”.
“შენ ხარ სავსება ყოველთა, აგავსებ * მზეებრ ფენითა”.	**ეფეს. 1,23:** “იესო ქრისტე არს სავსება აღმავსებელისა ყოვლისა ყოველისა შინა”. [“რომელ-იგი არს გუამი მისი, აღვსებაꙋ იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო”].
“გულო, გიჯობს, გაუმაგრდე, თავი სრულად გაიკლდეო”.**	**ფსალმ. 111, 7:** “განმტკიცებულ არს გული მისი და არა შეეშინოს”.

“ღმერთსამცა ვით არ შეეძლო
კვლა განკურნება
წყლულისა”.

მეორე სჯ. 32.39: (იტყვის უფალი): “მე მოვაკუდინი და მე ვაცხოვნი, მე მოვსწყლი და მე განვჰკურნი”. შეად. სიბრძნე სოლ. 16,13.

კორ. 3,6: “მე დავასხ, აპოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაორძინა”.

“იგია მზრდელი ყოვლისა
დანერგულ-დათესულისა”.

“ნეტარ მამაცი სხვა რაა,
არგაძლოს***, რაცა ჭირია”.

1. კორ. 15,58: “მტკიცე იყვენით და შეურყეველ და ჰმატებდით საქმესა უფლისასა მარადის”. შეად. ფსალმ. 30,24; კოლ. 1,23.

“ჭირსა გადრეკა რად უნდა,
რა სასაუბრო პირია!”

1. თეს. 3,3: “არას იურვოდით ჭირთა ამათ შინა, რამეთუ თქუენ თჳთ უწყით, ვითარმედ წინა-გჳც ესე”. შეად. 2 ტიმ. 3. 12.

“ბოლოდ ყოველი
დამალული საქმე ცხადად
გამოცხადდეს”.

ლკ. 12,2: “არ რაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს”, შეად. მთ. 10,26.

“ვა, სოფელო, რა შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე
გჭირსა,
ყოველმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად
აღუფხრვი სადით ძირსა,
მაგრა ღმერთი არ გასწირავს
კაცსა შენგან განაწირსა!”

1. იოან. 5,19: “სოფელი ბოროტსა ზედა დგას.”, **იოან. 16,33:** “სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინის, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა”. **ფსალმ. 33,20:** “მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან ჴისნნეს იგინი უფალმან”. შეად. ეზეკ. 33,11; 2 მეფ. 14,14; ანგია 1,5; ეზეკია 18,23–32.

“ვინ მდაბალთა****
გაამაღლებ, მეფობასა
მისცემ სვესა”.

1. მეფ. 2,6–8: “უფალი აღადგენს ქუეყანისაგან გლახაკსა და სკორეთაგან აღამაღლებს დავრდომილსა, რათა დასვას იგი ძლიერთა თანა ერისათა და საყდარნი დიდებისანი დაუმკჳდრნეს მას”. შეად. ფსალმ. 112,7.

“რაცა მოვა საქმე ზენა,
მომავალი არ აგცთების!*****

ისაია 14,27: “რომელთა განიზრახავს ღმერთი წმიდა, ვინ დაჴსნას და ჴელი მისი მაღალი ვინ გარემიაქციოს?”. შეად. 2 ნეშტ. 20,6; იობ. 6,12; დან.

შეად. 2 ნეშტ. 20,6; იობ. 6,12; დან. 4,33.

რომ. 8,31: “უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძოარს, ვინ არს ძჳრის-მყოფელ ჩუენდა?” შეად. ფსალმ. 145,3.

“უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა–მებნეს ხმელთა სპანი”.

ფსალმ. 48,8: “ძმამან ვერ იჴსნას, იჴსნესა, კაცმან (უფხომან)?. შეად. ფსალმ. 145,3.

“ვერ მიხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი”.

იერ. 9,23–24: “ნუ იქადინ ძლიერი ძლიერებისა მიერ თჳსისა… არამედ ამას ზედა იქადოდენ მოქადული… რამეთუ მე ვარ უფალი, მოქადული წყალობისა”. შეად. 1, კორ. 1,31; 2 კორ. 10,17; იაკ. 1,31; იგივ. სოლ. 21,31.

“კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ, ვითა მთრვალი,
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი”.

1 მეფ. 17,47: (ჰრქუა დავით გოლიათს): “არა მახჳლითა, არაცა ჯაჭჳთა აცხოვნებს უფალი, ოამეთუ უფლისა არს ბრძოლა”.

“ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს,
შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხრმალი”.

ფსალმ. 102, 19-21: “სასუფევაჲ (უფლისა) ყოველთა ზედა ეუფლების, აკურთხევდით უფალსა ყოველნი ანგელოზნი მისნი, ძლიერნი ძალითა, რომელნი ჰყოფენ სიტყუასა მისსა, მსახურნი მისნი, რომელნი ჰყოფენ ნებასა მისსა”. შეად. ფსალმ. 33,8; 90,11; საქ. მოც. 5,19; ებრ. 1,14.

“… მადლი ღმერთსა შემოქმედსა, არსთა მხადსა,
ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნადსა,
იგი იქმან ყველაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა?

ისო ზირ. 10,9: “წინაშე უფლისა… რაჲსამე ამპარტავნებს მიწა და ნაცარი?”

“მე, გლახ, რა ვარ? მიწა ცუდი, თავით ჩემით, რამცა ვქმენი?”

“სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან****** ვითა დაითმობდის, გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის, მართ ანაზდად გიღალატებს”.

ისო ზირ. 9, 3 –7: “ნუ შეემთხუევი დედაკაცსა მეძავსა, რათა არა შთავარდე საბრჯესა მისსა… ნუ მისცემ მეძავთა სულსა შენსა, რათა არა წარსწყმიდო სამკჯიდრებელი შენი”. შეად. ეკლ. 7,26; იგავ. სოლ. 7,25; 9,14-16; მათე 19,12.

“მით დიაცისა სამალავი არასთანა არ ეთხრობის!

მიქ. 7,5 “თანამესარეცელისაგან დაფარე, არა თხრობად რაჲმე მისად”.

“ … ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების”.

იოან. 9,33: “უკუეთუმცა არა იყო ესე ღმრთისაგან, ვერცა რას შემძლებელ იყო საქმედ”.

“მით რაც მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, - არ მომინდების”.

რომ. 7. 19: “არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, - მას ვიქმ” შეად. იქვე 15; გალატ. 5.17.

* კ.ჭიჭინაძის გამოცემაში “აღგვავსე”.
** კ.ჭიჭინაძის გამოცემაში “გააკლდეო”.
*** კ.ჭიჭინაძის გამოცემაში “გასძლო”.
**** კ.ჭიჭინაძის გამოცემაში “მდაბალსა”.
***** კ.ჭიჭინაძის გამოცემაში “აგვცდების”.
****** კ. ჭიჭინაძის გამოცემაში “ვისგანც”.

“დედის მუცლით რა გამომყვა? ”

იობ 14,1-2: “შიშველი გამოვედ მუცლითგან დედისა ჩემისა”.

“ბედი უბედო ჩემზედა

იობ 14,1-2: “კაცი, შობილი დედაკაცისაგან, მცირეწლოვან და

მიწყივ ავისა მქმნელია,

სავსე მწუხარებითა; ვითარცა ყუავილი აღყუავდეს და დაცჯვნეს, წარჯდა ვითარცა აჩრდილი და არა დაადგრეს”. შეად. ეკლ. 2,23; 1 თეს. 3,3 – 4; ფსალმ. 143,3 – 4.

კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს,

ავი რა საკვირველია,

სხვა –და – სხვა ჭირი ჩემზედა

არ ახალია, ძველია.

“ვა*, ოქრო მისთა მოყვასთა ა როდეს მისცემს ლხენასა, დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასა: შესდის და გასდის, აკლია, ემდურის ეტლთა რბენასა, კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა”.	**1 ტიმ. 6,9 – 10:** “რომელთა ჰნებავს სიმდიდრე, - შესცჯვიან განსაცდელსა და საფჯესა და გულის-თქუმათა მრავალთა, უცნაურთა და მავნებელთა … რამეთუ ძირი არს ყოველთა ბოროტთაჲ ვეცხლის მოყუარებაჲ, რომლისათჳს… ვიეთმე… თავნი თჳისნი შესთხინეს სალმობათა მრავალთა”. შეად. ეკლ. 5,9.
“წიგნსაცა აგრე სწერია: მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია”.	**ისო ზირ. 37. 2:** “მწუხარებაჲ არა დაადგრების სიკუდილადმდე, თუ მოყუარე და მეგობარი შეიცუალნენ მტერად.” შეად. იქვე 6,8 – 9; ფსალმ. 54,12 – 14; ამოს 7,6; მთ. 10,36.
“…შემწე ქვრივისა შემწყნარებელი ობლისა”.	**ფსალმ. 67,8:** ღმერთი “მამა არს ობოლთაჲ და მსაჯული ქურივთაჲ”.
“…ღმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკვირველია”.	**ეფეს. 3,20:** ღმერთი “შემძლებელ არს… ყოფად უმეტჳს, რომელსა – იგი ვითხოვთ, გინათუ ვსცნობთ”.

	“ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი”.	**2 კორ. 1,4:** ღმერთი “ნუგეშინის – მცემს ჩუენ ყოველთა შინა ჭირთა ჩუენთა”.
1358[1] 1295:	“ვით გაგვყარა სოფელმან და ჟამმან კრულმან”.	**1 იოან. 5,19:** “სოფელი ბოროტსა ზედა დგას”.
1361[4] 1298	“აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების”.	**იოან. 15,9:** “რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქუენ,… ამისთჳის სძულთ თქუენ სოფელსა”.
1386[4] 1323:	“მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია”.	**მათე 7, 17:** ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს”.შეად. ლკ. 6,43.
1409[3] 1344:	“ცრუ კაცი კარგად[**] ვერა იქმს საქმესა გაძნელებულსა”.	**იაკ. 1,7 – 8:** “კაცი ორგული ნუ ჰგონებნ, რაჲმე იღოს ღმრთისაგან…დაუდგრომელ არს ყოველთა გზათა მისთა”.
1494[4] 1344:	“თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა”.	**ლკ.21,19:** “მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი”. **ეკლ. 7,8:** კეთილ არს სულგრძელი უფროჲს მაღლისა სულითა. (gûñîêîìÐíîχî).
1414[4] 1348:	“იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია”.	**1. იოან. 2,15:** “უკუეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული მამისაჲ (ღმრთისა) მის თანა”. შეად. იაკ. 4,4.
1422[2] 1357	“მოგვივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით”.	**იაკ. 1,17:** “ყოველივე მოცემული კეთილი…ზეგარდამო არს გადმოსულ მამისაგან ნათლისა”. შეად. ფსალმ. 30, 21

	“მზე მოგვეახლა, მოგვეცა	**ისაია 9,2:** “დამკჯიდრებულნო აჩრდილთა სიკვდილისათა, ნათელი გამობრწყინდა თქუენ ზედა”.
1424[4]	ჩვენ მოშორება ჩრდილისა”.	
1359:		
1426[4]	“ბოროტსა სძლია კეთილმან, -	**რომ. 12,21:** “სძლე კეთილთა მით ბოროტსა მას”.
1361	არსება მისი გრძელია”.	
1428[2-2]	“ღმერთსა მისცეს დიდი მადლი,	
1363		**ფსალმ. 117,18:** “სწავლით განმსწავლა მე უფალმან, ხოლო სიკუდილსა არა მიმცა მე”.
	თქვეს: გვიყოო, რაცა სჯობდა,	
	აწყა ვცანით, უარესსა	
	პირი თქვენი*** არ გაბრჭობდა”****.	
1455[4]	“ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვებს	**მათე. 10,22:** ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს”. შეად. იქვე 24,13; მარკ. 13,13.
1389:	ყოვლსა, პირველ შენაზარსა”.	
1502[4]	“ვცან სიმოკლე ბოროტისა,	**ესაია. 54,8:** “გულისწყრომისა მიერ მცირედ მივაქციე პირი ჩემი შენგან, ხოლო წყალობითა საუკუნოჲთა შეგიწყალო შენ”. შეად. ფსალმ. 29,5.
1435:	კეთილია მისი გრძელი”.	
1524[4]	“წყლულსა, მისგან დაკოდილსა,	**მეორე სჯ. 32, 39**: (იტყვის უფალი): “მე მოვსწყდი და მე განვჰკურნი”. შეად. იქვე 4,35; ეს. 45.5; მეფ. 2,6 ტობ. 13,2; სიბრძ. სოლ. 16,13.
1454:	მასვე ძალუც განკურნება”.	
1553[4]	“ასრე ხამს რიდი მეფეთა ყრმათაგან მოკრძალულობა”.	**1 პეტრე 2, 17:** “ღმრთისა გეშინოდენ, მეფესა პატივ-სცემდით”.
1483:		
1555[4]	“ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია”.	**1 მეფ. 26,9:** ვინ განმარტოს ჴელი თჳსი ცხებულსა ზედა უფლისასა? შეად. იქვე 11; ფსალმ. 104,15; 1 ნეშტ. 1622.
1485:		
1562[3]	“ავსა წამ ერთ შეამოკლებს*****, კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს”.	იხ. **1502[4]**=ეს. 54,8; ფსალმ. 29,5.
1492:		
1617[4]	“ბრძენსა უთქვამს სიყვარული,	
1544:	ბოლოდ მისი არ წახდომა”.	

1 კორ. 13, 8: “სიყუარული არასადა დავარდების!”

კმარა! თითქმის ყველა სტროფი მაჩვენებელია ავტორის ქრისტიანობისა და მისი მსოფლიომხედველობაც ქრისტიანულია!
1936. VIII. 25
კარსანი

* კ. აიჭინაძის გამოცემაში "რა".
** კ. აიჭინაძის გამოცემაში "კარგა".
*** " " "მისი"
**** " " "გვაბრჭობდა"
***** კ. აიჭინაძის გამოცემაში "გაამოკლებს".

შენიშვნები

1) ა) **ვახტანგ მეექვსის** (გარდაიც. 1737) აზრით, "ვეფხისტყაოსანი" ქრისტიანული ნაწარმოებია: 895/836 სტროფის განსამარტებლად ვახტანგი ამბობს: **"იტყვის",** - ერთარსებისაგან ერთი ხომ ქრისტე არის, და ქრისტეს ეხვეწება, - ვისაც ციერნი ერთის წამისყოფით გმორჩილებსო, მე ბედს ნუ მიქცეო და ჩემს ცოლს შემყარეო, აბა ქრისტიანი ფილოსოფოსი საბოზვრად ქრისტეს როგორ შეახვეწებს: ხელი მოუმართეო".

886/837 შემდეგი სტროფის თარგმანებში ნათქვამია: **"ვის ხატად",** - ღ თს ხატად წინასწარმეტყველნი და ფილოსოფოსნი ქრისტეს იტყვიან, იმას ახვეწებს ავთანდილს, რომე მიშველე რამეო და თინათინის და იმის მოშორვებას შესჩივის. მე ხომ ამას ზეით ესეც საღმთოდ მგონია, მაგრამ ყველას ამიტომე აღარ გამოვეკიდე, რომე ეგება ზოგიერთს კაცსს ავად ჩამოერთმია".

ბ) **ნ. მარის** სიტყვით, "ვეფხისტყაოსანის" ავტორი ნეოპლატონიკ – მუსულმანია:

gñòóïèòØëúíûÿ è çÞêëþ÷èòØëüíûÿ ñòðîôû gèòÿçÿ Ò bÞðñîÒîé êîæØ ÞîòÛ èç Ò0ñòÞÒÞ ÿmb.1910. §§10 და 11; შეად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, 103 – 106; "მნათობი" 1927. N2, 200 – 201.

გ) **ი. აბულაძისათვის,** - მუსულმანიც არის, ქრისტიან – ნეოპლატონიკიც და ურწმუნოც. ის ამბობს: "პოემა თავიდან ბოლომდე წმინდა მაჰმადიანური მოძღვრების სულით და აზროვნებით იყო გამსჭვალული" (" ვეფხისტყაოსანი" 1926წ. LXXVI); უფრო ადრე: "ამ ნაწარმოებში უკვე აღნიშნულია და პირდაპირ ნაჩვენები **ნეოპლატონური წყარო** და აფორიზმები და პოეტური ფიგურები, რომლებიც ამშვენებენ და სიბრძნის

დაუშრეტელ წყაროდ ჰქმნიან პოეტის ქმნილებას, და მასთან წმინდა **საქრისტიანო წყაროდან** ამოღებული ფრაზები" (იქვე LXVI); შემდეგ: "ჩვენი ძეგლის (ვ. ტ.) მთელი , სადაც წარმოდგენილია წმინდა არაბულ – მუსულმანური სამყარო თავისი კულტურით, ზნე – ჩვეულებით, სადაც პოეტის მთავარი გმირი – ინდოეთის უფლისწული ტარიელ სარიდანის ძეც კი ყურანის აღმასრულებელია, და, მაშასადამე, **წმნდა მუსულმანი**, ისევე როორც არაბი ავთანდილ და პოემის ყველა სხვა მოქმედი პირები, - იძლევა ჩვენი პოეტის "კუპრად", ე.ი. **ურწმუნოდ** გამოცხადების სრულ საბუთს ("კომუნისტი", 1935, N87).

დ) კ. კეკელიძისათვის, - ნეოპლატონიზმის ქვეშ გავლენის ქვეშ მყოფი ქრისტიანია (ქართ. ლიტერ. ისტორია II, 104 – 107, "მნათობი", 1927 N2, 199 – 200).

ე) პ. ინგოროყვასთვის, - არაქრისტიანული მწერალია, მანიქეველია ("რუსთველიანა". თბ., 1926. გვ. 55, 56, 212... ; "მნათობი", 1927, N4. 221).

ვ) ა. დუდუჩავასთვის, - არაქრისტიანული შეხედულების მატარებელი ავტორია ("კომუნისტი", 1935, N36; შეად. "ლიტერატურული გაზეთი", 1934, N29; "ლიტერატურული მემკვიდრეობა", 1935, I, 8; "Ѳჭðÿ gîñòîêჭ", 1936. N126).

ზ) ა. ბარამიძისათვის, - ფატალისტია, "ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", 1932 ტ. I, 152.

Ѳ) ვ. ბერიძისათვის, - ნეოპლატონიკია და მგონი ათეისტიც?! ("საბჭოთა ხელოვნება", IV. 46. 52. 56. 62).

თ) პროფ. შ. ნუცუბიძისათვის, - პანთეისტია ("ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები" I. 1, 27, 39, 41).

ია)კ. კაპანელისათვის, - "ელინია", "ნამდვილი წარმართია", ე. ი. პანთეისტია ("მნათობი", 1936. N2. 186, 188. 199).

იბ) კ. ჭიჭნაძის სიტყვით, რუსთველის პოემამ განიცადა დევნა, სარწმუნოებისადმი გულგრილობისა (თუ გამოურკვეველობისა – ÿÞçðÞçëè÷èÞ ê ðÞëèçÿèè) გამო («Ѳჭðÿ gîñòîêჭ», 1936. 188,199).

იგ) ბალმონტის თარგმანის რედაქციის აზრით , - რუსთველი მეტად უახლოვდება პანთეიზმს (წინასიტყვაობა XI-XII).

2) ა. დუდუჩავა. "ლიტერ. მემკვიდრეობა", 1, 8.

3) " ლიტერატურული გაზეთი" 1934. N 28.

4) “კომუნისტი” , 1935. N 36; “რუსთველიანა”, 55-61; “უნივერსიტეტის შრომები “, 7; მ. ჩიქოვანს (ხალხური ვეფხისტყაოსანი , თბ, 1936. 4-5) ეს დევნა-დავა გადააქვს მეთორმეტე საუკუნეში.

5) რუსთველიანა, 58, 208, 212-218; ამასთან უნდა მეტად საეჭვოდ ჩაითვალოს ამ დახასიათების შოთასადმი მიწერა მ. დ. ქ. ც. წერია: “გარდამოვიდა თუით მეფე (რუსუდან) წარმოგზავნა ძე თუისი დავით, რომელთა წინა მიეგებნეს შანშა ავაგ რომელი თათართა დიდად პატივითა შე (ე) წყნარა არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი შოთა კუპრი თორელი ვარამ ...”, და წერტილი (;) “მქონებელის” შემდეგ რომ დავსვათ, მაშინ დახასიათება მიეკუთვნება ავაგს, ხოლო თუ იმავ ნიშანს დავსვამთ “ შეეწყნარას” შემდეგ, მაშინ იგი ეკუთვნის შოთას. ჯერ ეს გამორკვეული არ არის. იქნება ამ გამოურკვევლობისათვის გამოაგდო ეს ფრაზა “ქართლის ცხოვრებიდან” ვახტანგმა? (შეად. ქ. ც. მარიამ დედოფლისა - 604 – 605 და ბროსესი).

6) იქვე, 203.

7) რუსთაველი და შოთა ჩვენ პირობით “ტერმინებად” მიგვაჩნია “ვეფხისტყაოსანის” ავტორისათვის (იხ. პროფ. კეკელიძე, ლიტერ. ისტ. II გვ. 95 – 97),

8) რუსთველიანა, გვ. 204.

9) ქართლის ცხოვრება, – ბრ/ მ.დ. $\frac{342}{546-}$, $\frac{349}{565}$.

10) იქვე $\frac{343}{549-550}$

11) იქვე $\frac{343}{549}$

12) ი. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი I., თბ. 1916, გვ. 196 – 197.

13) რუსთველიანა, 203- 204

14) ქართლის ცხოვრება, $\frac{341}{543-4}$ $\frac{342}{547}$,

$\frac{349}{565}$, $\frac{415}{723}$ $\frac{414}{729}$, $\frac{416}{725}$, $\frac{418}{729}$, $\frac{436}{765}$.

15) ტიმოთე მთავარ ეპისკოპოზის მოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთის ადგილთა, თბილისი, 1852, გვ. 154; შეად. რუსთველიანა, გვ. 219.

16) პ. ინგოროყვა და კ. კეკელიძე დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს "ვეფხისტყაოსანის" და მისი ავტორის შესახებ, მაგრამ არავის მოსვლია ფიქრად რომ ისინი ზდევნიან ურთიერთთა აზრს ("მნათიბი", 1927 2-6; 1931, NN 7- 10)

17) მოხილვა, გვ. 168 -169.

18) იქვე, გვ. 96 – 97.

19) რატომ "ამხედრდა" ტიმოთე მარტო "ვეფხისტყაოსანის" წინააღმდეგ და დატოვა უყურადღებოდ იმაზე უფრო "ბოროტი" ვისრამიანი, ლეილმეჯნუნიანი, ბარამგურიანი და სხვ. (შეად. "რუსთველიანა", 217)? მიტომ, რომ არ მისცემია შემთხვევა, გამოეთქვა თავისი აზრი მათ შესახებ, ეს ერთის მხრით; მეორის, - კიდევ მიტომ, რომ აღნიშნული თხზულებანი ნათარგმნია უცხო ენიდან და ეკუთვნიან არაქრისტიან ავტორებს, "ვეფხისტყაოსანი" კი დაწერილია არა მხოლოდ ქართველის და ისიც ქრისტიანის მიერ. არამედ "ბერისაგან" (ასეთი იყო ტრადიცია, იხ. დ. კარიჭაშვილის მიერ 1903 წ. გამოცემული "ვეფხისტყაოსანი", XXVI I გვ., ნ. მარის ğñòóïèò. è çÿêëþ÷èò. ñòðîôû, 51; კ. კეკელიძე, I I, 93 - 4), რომელიც ტიმოთეს ცნობით (მოხილვა 154), იერუსალიმადაც აღსულა (ეს ხომ, ტიმოთეს აზრით, პირველი მაჩვენებელია არა განგრილებული ქრისტიანობისა!). ჯვარის მონასტრის "სვეტნი განუახლებია და დაუხატვინებია" და ისეთი ბედნიერებაც კი სწვევია, რომ "თითონაც შიგ ჰხატია მოხუცებული". ამისთანა ადამიანს შეშვენოდა არა "ბოროტი ლექსის" დაწერა, არამედ "მოხილვის" მსგავსის რისამე. ამ გარემოებას აუღელვებია მოხუცი ასკეტი და შეუტანია "მოხილვის" შენიშვნაში (და არა ტექსტში, სადაც მოთხრობილია შოთას მიერ ჯვარის მონასტრის განახლება) ის, რაც ზემოთ არის ნათქვამი "ქრისტიანობის განრყვნისა და ბოროტი ბილწების" შესახებ.

20) კლერიკალურად განწყობილ ქართველ საზოგადოებას ჰყავს არა მარტო ტიმოთე კლერიკალ – მთავარეპისკოპოსი, არამედ იოსებ ტფილელიც, სააკაძე (გარდაიც. 1688), რომელიც უფრო შავსა და ბნელ საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ვინემ ტიმოთე, და რომელიც თავის კლერიკალურად განწყობილებას აშკარად აცხადებს მის ისტორიუოლ

პოემაში – “დიდმოურავიანში”. აი რას ამბობს იოსები პოემის ბოლო სტროფებში:

სოფლის ზღაპრის წერისათვის

შევიქმენ **დამნაშავეა...**

მეც ვარ მუდმივ **უქმნის მთქმელი,**

ასეთი სიტყვა **არა ხამს,**

თუ ბერი წესზედ ბერებდეს...

მე ვინა და ამის წერა

ის მიჯობდა, მოციქულთა

რაც თქვეს, ყველა დამეჯერა,

სულის ღვწით და სინანულით

ანგელოზნი შემეჯერა.

(დიდმოურავიანი, სტრ. 478 – 481).

მიუხედავად იოსების ამგვარი სულისკვეთებისა, ირკვევა (“კომუნისტი”, 1935, N 52; “Ğჭðÿ gîñòîêჭ” 1935, N 36; “ლიტერატურული მემკვიდრეობა”. I. 19-36). რომ ზაზა ციციშვილის შეკვეთით იოსებს გადაუწერია “ვეფხისტყაოსნის” ერთი ცალი, რომელიც აღმოჩენილია მ. ს. ვორონცოვისეულ არქივში. ეს ხელნაწერი შეიცავს “212 ფურცელს in folio... მდიდრულად არის შემკობილი და თითოეული ფურცელი ოქროს ვარაყით, ან ოქროს მელნით დახატულ “ჟალუზით “ ანუ ბორდიურებით არის გარეშემოვლებული” (“ლიტერ. მემკვიდრეობა”, 23). ამ აღწერილობიდან ცხადად ჩანს, თუ რამდენი შრომა, ცოდნა, დრო და სიყვარული დაუხარჯავს გადამწერს ამ ხელნაწერზე, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილებულა: “ტექსტში წარმოდგენილია “ვეფხისტყაოსანის” გაგრძელებასთან (სამი უკანასკნელი თავი ჭიჭინაძის გამოცემისა) ერთად ორი ანდერძი ავთანდილისა **იოსებ ტფილელის შეთხზული”** (იქვე).

ცხადზე უცხადესია, რომ ტფილისის მიტროპოლიტი, მდგომარეობით ერთი უდიდესი კლერიკალი, “ვეფხისტყაოსანს” არ გადაწერდა და არ განავრცობდა (ისიც თავის ვინაობის დაუფარავად), რომ ეს თხზულება აკრძალვის ქვეშ ყოფილიყო და დევნულობის საგნად გამოცხადებული ყოფილიყო! ჩანს, “ვეფხისტყაოსანს” კი არ დევნიდნენ, მის გადასაწერ -

შესაძენად ხარჯებს არ ერიდებოდნენ და (თავისებურად) განავრცობდნენ, ამშვენებდნენ, ალამაზებდნენ.

იოსების გარდა, ჩვენ სახეში გვყავს ერთი სხვა კლერიკალიც, რომელსაც განუვრცია კ. ჭიჭინაძის გამოცემის 858 სტროფის უკანასკნელი სტრიქონი, - “მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები”, - ორი საკმაოდ ლამაზად დაწერილი სტროფით. რომელიც წარმოადგენს იოანე ოქროპირის ქადაგების ერთი ადგილის ლექსით თქმას:

“ ღმერთს შემვედრებენ მრავალნი გლახაკნი გულ-მხურვალები,

დამხსნას ხორცსა და სოფელსა, სხვად ნურას შევიცვალები;

კვლა ცეცხლი ჯოჯოხეთისა ნუმცა მწვავს იგივ ალები.

მომცეს მკვიდრივე მამული მუნ ჩემი სასურვალებ

დამხსნას ბნელსა და ნათელი შემმოსოს ზესთა ზენისა,

მუნ დაიმუნჯოს, წამალი სადა ძეს სულთა ლხენისა;

ჩემი არ ჰქონდეს შეძლება სოფლისა მღილთა კბენისა,

ფრთენი მომესხნეს და ძალი მომეცეს აღმაფრენისა”

(859,860).

აი თვით იოანე ოქროპირის ქადაგების ხსენებული ადგილი (ძველად ნათარგმნი ხელთ არა გვაქვს: ჩვენ არ ვთარგმნით, რომ არ დაგვწამონ განზრახ მიმსგავსება: მოგვყავს რუსულად): ÿèëÿ ðÿ (ìèëîñòûíè òÿêîÿÿ, ÷òî îíÿ ðÿçððøÿðò ÿðñêèð **óçû**, ðÿççîíÿðò **ìðÿê**, ïîçÿøÿðò ïëÿìðíü, óìððùÿëÿðò **÷ððÿÿ,** èçbÿÿëÿðò îò ñêððæðòû çóbîÿ; ðëÿ íðÿ bðçïððïÿòñòÿðííî îòÿððçÿþòñÿ **ÿðÿòÿ íðbðñíûð ...** îíÿ **ëðçêÿ** è **bûñòðîëðòíÿ**, îíÿ ëðòÿðò êÿê çîëóbü ...(÷ÿîððíèÿ òîÿííÿ Ÿëÿòîóñòÿ, ò. XII . 265. ÿóð 1906), შეად. პეტრენკოს თარგმანი (859 და 860)

ამისთანა ჩანამატები შეიძლება კიდევ აღმოჩნდეს “ვეხისტყაოსანის” სხვა და სხვა ხელნაწერებში (მაგ., ჭიჭინაძის გამოცემა, სტრ. 121, 210, 766, 774, და სხ.). და ყველა ისინი დამამტკიცებელი იქნება იმისა, რომ კლერიკალურად განწყობილი ქართველი საზოგადოების წრეები “ვეფხისტყაოსანს” არ დევნიდნენ!

21) რუსთველიანა 58, 216.

22) მოხილვა, 154. შენიშვნა პ. იოსელიანისა.

23) დ. ზასლავსკიმ (“Ѳჭðÿ გîñòîêჭ”, 1936.N136) ერთეული ფაქტი განაზოგადა და ტენდენციურად დაამახინჯა: “ ѳñëè -ÞÛ ჯðóçèíñêîìó ȝóõîȝѳíñòȝó óȝჭëñÿ ѳჯî ÷ѳðíûé çჭìûñѳë è ÞÛëè – ÞÛ èñòðѳÞëѳíû ȝñѳ ñïèñêè ïîýìû,” რაც “კომუნისტს” N136 ასეთი შერბილებით აქვს ნათარგმნი: “ქართველ სამღვდელოებას თავისი განზრახვის შესრულება რომ მოეხერხებინა და მოესპო პოემის ყველა ხელნაწერი”. ბალმონტის თარგმანის რედაქციის სიტყვით “ოîýìჭ ȝóñòჭȝѳëè ȝñѳჯȝჭ ïîȝȝѳðჯëჭñú æѳñòî÷ჭéøèì ჯîíѳíèÿì ñî ñòîðîíû ȝóõîȝѳíñòȝჭ, êჭê ѳðѳòè÷ѳñêჭÿ êíèჯჭ (XII გვ.). ლიტონი სიტყვების მაგიერ საჭიროა საბოლოოდ გამოირკვეს: ვინ ამზადებდა ხელნაწერებს საზოგადოდ და “ვეფხისტყაოსნისას” კერძოდ? თავადაზნაურობა აწარმოებდა განუწყვეტელ ომებს შინ თუ გარეთ და წერისთვის არ ეცალა, გლეხკაცობა გვერდს უდგა ბატონებს ომების წარმოების დროს და ამასთან ერთად, სამწუხაროდ, წერა –კითხვის უცოდინარი იყო (აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ყოველგვარი სამუშაო მას აწვა კისერზე), სამღვდელოება ÷,ðíûé çჭìûñѳë – ებით გაჟღენთილი წვავდა ხელნაწერებს, - საიდანღა ჩნდებოდა ეს ხელნაწერები დევნვდ და დაწვად განწირულნი?! – ზასლავსკის წინაპარნი ხომ არ გვიმზადებდნენ?!

24) პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი XIII, ტფ. 1825. 221, 222, 31, 49, 76, 78. “ვეხისტყაოსნისათვის” ნათქვამი გიორგი მეფის მიერ პლატონს ექნებოდა გაგონილი თბილისში მამისაგან, რომელიც მეფესთან დაახლებული პირი იყო; პეტერბურგში კიდევ უფლისწულებისაგან, რომელთა წრეში ტრიალებდა პლატონი სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს. “ვეფხისტყაოსანის” დასტამბული ცალების მოსპობის შესახებ პლატონს შეეძლო ამოეკითხა არქიმანდრიტის (შემდეგ კიევის მიტროპოლიტის) ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნშიც: თñòîðè÷ѳñêîѳ èçîbðჭæѳíèѳ დðóçèè ȝ ïîëèòè÷ѳñêîì, öѳðêîȝíîì è ó÷ѳbíîì ѳѳ îòíîøѳíèè, ჟობ, 1802.

ორიოდე სიტყვა ამ წიგნისათვის: “ȝóññêèé ჭðõèȝ” –ის მერვე ტომში (მოსკოვში, 1871) დასტამბულია gûȝѳðæêè èç ȝðóæѳñêèõ ïèñѳì ȝȝχѳíèÿ (ȝïîñëѳȝñòȝèè ìèòðîïîëèòòჭ çèѳȝñêîχî) ê g.თ. ѳჭêѳȝîíöó (ñòð. 769 – 870).აქ ჩვენ ვკითხულობთ: “13 ìჭÿ 1802χ ... ეîìჭ ÿ ïî ïóñòûííè÷ѳñêè æèȝó – íèêóȝჭ ȝîí íîχîþ. ოðîȝîæó òîëúêî èíîχȝჭ ȝѳ÷ѳðჭ ñ χðóçèíñêèì ïðѳîñȝѳùѳííûì gჭðëჭჭìîì è çíჭѳòѳ – ëè, ÷òî èç ýòèõ ȝѳ÷ѳðíèõ ó ìѳíÿ ñ íèì ȝðѳìÿïðѳïðîȝîæȝѳíèé ȝûøëî? ¤í ìíѳ **ȝñ, ðჭññêჭçûȝჭë ȝჭ ðჭññêჭçûȝჭë ïðî ðóçèþ,** ჭ ÿ ñëóøჭë ȝჭ ñëóøჭë, ȝჭ íჭ óñ ñѳbѳ ìჭòჭë, ჭ òჭì ÿê ïðèñѳȝ ïèñჭòú, ჭæú ñìîòðþ, óæѳ öѳëჭÿ êíèχჭ î ðóçèè ìჭðჭíúÿ ñëîæèëჭñú. **ѳðî÷ѳë** ȝëჭȝûêѳ gჭðëჭჭìó, îí ჭæú èçóìèëñÿ, è íó **ïîñîëíÿòú**, **ïîñðჭȝëÿòú** ñ íჭõîȝÿùèìèñÿ çȝѳñú ñ χðóçèíñêèìè êíÿçúÿìè(öჭðѳȝè÷ჭìè ѳჭχðჭòîì, oîჭííîì è ð èõჭèëîì) ñîȝѳòîȝჭòúñÿ è ñïðჭøèȝჭòúñÿ... ȝîò è êíèχჭ. ოîêჭçჭë ìèòðîïîëèòó (პეტერბურგისას ამბროსი პოდობედოვს). ¤ȝîbðѳíî, ȝѳëѳíî íჭïѳ÷ჭòჭòú... ìû ñ ðóçèíñêèì ȝñѳ õîõî÷ѳì, ÷òî èç øóòîê ȝûøëჭ êíèχჭ. ნ ჭçȝჭíèѳ ѳÿ ѳñòú ñëѳȝþùѳѳ: oñòîðè÷ѳñêîѳ èçîbðჭæѳíèѳ ðóçèè ȝ ïîëèòè÷ѳñêîì, öѳðêîȝíîì è ó÷ѳbíîì ѳÿ îòíîøѳíèè... gû ñêîðî ѳѳ ÷èòჭòú bóȝѳòѳ. რჭì óȝèȝèòѳ è ïî χðóçèíñêè **¤ò÷ѳò íჭø** è íѳñêîëúêî

ñòèõîß. თ ßñØ ýòî ïèñ÷ë ÷Øëîß Øê íè ñëîß÷ îî χðóçèíñêè íØçí÷þùèé è îò ðîß÷ ððóçèè íØßè3÷ßøèé”.

როგორც ჩანს, ევგენის **ისტორია** არსებითად ეკუთვნის მიტროპოლიტ ვარლაამ ერისთავს... წიგნი იმ წელშივე იყო გადათარგმნილი გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე... “ვეფხისტყაოსნის” დაწვა, მტკვარში გადაყრის ამბავი ვარლაამს თვით ექნებოდა გაგონილ – ნანახი, იგი მოწაფე იყო ანტონ კათალიკოსისა.

25) წყობილსიტყვაობა, ტფ. 1853. § 802. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს კლერიკალურად (თუ არა კლერიკალურად) განწყობილ ქართველ საზოგადოებაში არ ყოფილიყოს თითო – ოროლა ისეთი პირი, რომელიც “ ვეფხისტყაოსანს” (დასტამბვამდე, თუ დასტამბვის შემდეგ), არ თვლიდა “სულისათვის მავნებელ” ნაწარმოებად. ჩვენ კარგად გვახსოვს, ერთის მხრით, ვახტანგ მეფის მიერ თარგმანების შესავალში ნათქვამი, - “უცოდინარობითა და სოფლისა ნიჭითა შემსჭვალვითა **სამეძაოდ სთარგმნიდნენ** მის რიტორისა (რუსთველისა) და ბრძენ – მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა”, ხოლო მეორის, - იოანე ბატონიშვილის მიერ (**კალმასობა,** ტფ. 1845. გვ. 94) იოანე ხელაშვილისა და გიორგი ერისთვისშვილის გაბაასება: “ **იოანე**: რუსთველი სწერს: კოკასა შინა რაცა დგას, იგივე წარმოდინდება; **გიორგი**: ბერო, რა შენი საქმეა **საარშიყო** წიგნების სწავლა?” მაგრამ, ამავე დროს, არ გვავიწყდება ვახტანგ მეფისავე, -

“ საღმრთოა და საეროცა, ვისაცა აქვს სმენა გულსა,

უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა”.

(ბოლო სტროფი),

და არც იოანე ბატონიშვილის, - “ი. ხელაშვილი: არა, “ვეხისტყაოსანი” სწორედ ზნეთსწავლება არს და ვინც როგორ იხმარებს, იმ ნაყოფს გამოიღებს!” (ibidem 95).

26) რუსთველიანა, 60 – 61, 128, 219; “კომუნისტი” N36.

27) რუსთველიანა, 61.

28) რßîðØíèÿ ãßñèëèÿ ãØëèêîχî, ÿØðχiØßß ßßßðß, 1900, ò.I,87; რßîðØíèÿ òîßííß Ÿëßòîóñòîχî, ÿòð.1906. ò. XII. 1283; ÿëßßß ððØïîßîbííχî ÿèìØííß, íîßîχî ðîχîñëîßß, ßûï.1.204.

29) ძე ღვთისა იწოდება **ნათლად ჭეწმარიტად** იოანე ღვთისმეტყველისა (სახ.1,9) და ბასილი დიდის მიერ (ლიტურგია), **ნათელად მხიარულად** –

მღვდელმოწამე ათინოგენის მიერ (მწუხრი), **ნათელად დაუღამებლად** – სოფრონი იერუსალიმელის მიერ (დიდი აიაზმის შესხმა) და ხელთუქმნელი ხატის **განმანათლებელის** ავტორის მიერ, **ნათელად შეუხებელად** – ნათლისღების კონდაკის ავტორის მიერ, **ვარსკვლავად დაუღამებელად** – ღვთისმშობლის დაუჯდომელის 5 კონდაკის ავტორის მიერ და სხვ.

ჩვენს მხატრულ ლიტერატურაში ღვთაებას მზის სახელწოდებით მიუძღვნის ლექსებს უკლერიკალესი ქაროთველ მგოსანთა შორის დავის გურამიშვილი (გარდიც. 1787 შემდეგ):

"სახით იგავად სათქმელად

მამა მზეთამზედ ითქოსა,

"ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მზე (დ) სიმართლისა (დ)იქოსა,

დიდება შენდა, **ნათელო**, ერთო სამ – სახეო,

მზე და **სხივი** და **ნათელი** ვით სამად გალექსულია,

იგი სამივ **ერთი მზე** არს, არ ცალკე გაგსაქსულია;

ეგრეთ **მამა** და ეგრეთ **ძე** და ეგრეთ **წმიდა სულია**".

(დავითიანი, 1894.ტფ. 60,68, 73).

ეს სიტყვები ცხადყოფენ გ. ლეონიძის მოსაზრების (თითქოს იოსების "სინანული" შეეხებოდეს " "ვეფხისტყაოსანსაც", "ლიტერატ. მემკვიდრეობა", 1, 35) უსაფუძვლობას.

30) დიდმარხვის მესამე კვირიაკის პარასკევის მე – 5 და მე – 9 გალობის **სამებიანი,** ზიარების მეშვიდე ლოცვა, ლოცვა სიმეონ ახლისა და სხვ. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში პირველად, თუ არ ვცდები, შავთელს აქვს ნახმარი:
"**ღვთისა სამმზისა",**
"ვით ზესთ სამ მზისა" (ნ. მარიმ, ებჰჯíჰ – დბóçèíñêèჰ îჳîïèñöû, ჟობ, 1902. გვ. ით).
31) პროფ. კეკელიძე, "მნათობი", 1927. N 2. გვ. 200.
32) ნèêîëჭé აðñჰíüჰჯ, ოðîñჯჰòëჰíèჰ ìèðჭ è æèçíè ððèñòèჭíñêîé ìèñòèêჰ გîñòîêჭ è ßჭïჭჳჭ, χë. V, 4.
33) რუსთველიანა, 61, 128. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ "სინათლის ძეთა" შესახებ სწავლა ყველაზე უწინ უნდა ვეძიოთ იოანე ღვთისმეტყველის და პავლე მოციქულის ნაწერებში: სახ. იოანესი 12, 36; ეფეს. 5,8; 1თეს. 5,5 და არა მანიქეურ თხზულებებში (რუსთველიანა, 61).

34) “მნათობი”, 1927, N 2, 198 – 204; შეად. “შრომები”, 16 – 17, 44.
35) თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტფ. 1892, I, 277; რუსთველიანა, 184. არ უნდა იქნას დატოვებული ყურადღების გარეშე “ქართლის ცხოვრების” მიერ (მ.დ. 395 და 398) თამარის “სამმნათობიერად წოდება და სამების მეოთხე პირად აღიარება: “სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ”.
36) ამ სტროფში და საზოგადოდ, “ვეფხისტყაოსანის” ჩვენი მკვლევარნი ნ. მარი, “ãñòóïèò. è çÿêëþ÷.ñòðîôû, XLVI – VII; პ. კეკელიძე: ქ. ლ. ისტორია, II, 106 – 107; “მნათობი”, 1927, N 2,200; ვ. ბერიძე, “საბჭოთა ხელოვნება” IV, 46, 52, 56, 62; შ. ნუცუბიძე, “ტ.ს.უ. შრომები”, I, 16 – 17. 26, 37 – 40; კ. კაპანელი, “მნათობი”, 1396, N 2. 188, 198; ბალმონტის თარგმ. რედაქცია, XI- XII) ხედავენ ნეოპლატონიზმის და პანთეიზმის გავლენას. გასაკვირველი იქნებოდა, რომ XI-XII ს.ს. ნაწარმოებში ნეოპლატონიზმის გავლენა არ იყოს აღბეჭდილი. ნეოპლატონიზმი აღმოცენდა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ და იქიდან ბევრი რამ გადმოიღეს წმინდა მამებმა და შეუთანხმეს ქრისტეს მოძღვრებას. ქრისტიანული მოძღვრების **სიმბოლოში** “ნათელი ნათლისაგან” ως έχ φώτός– ამოღებულია ნეოპლატონიკ პლოტინის (გალდაიც. 270) სიტყვებიდან (ა. ტóëëüâ, òñòîðèÿ ôèëîñîôèè, ÿóá,1901. 123, 128).ნეოპლატონიზმის მიმდევარნი ჩვენში შოთამდე იყვნენ, სხვათა შორის, ისეთი თვალსაჩინო მწერალ – ბერები, როგორიც ეფრემ მცირეა და იოანე პეტრიწი. რაც შეეხება პანთეიზმს, ტექსტში ნათქვამის შემდეგ, ეს უნდა ჩაითვალოს გაუგებრობად.
37) რუსთველიანა 218, 55; “ ლიტერატ. მემკვიდრეობა” I, გვ. 8; “კომუნისტი”, N 36, “მნათობი”, 1927, N 4 გვ. 221; “Ùÿðÿ ãîñòîêÿ”, 1936 N126.
38) მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ “არ ახსენებს სამებასა” დიდ მნიშვნელობას აძლევენ, პ. ინგოროყვასთან ერთად, ა. დუდუჩავა, შ. ნუცუბიძე, პ. კაპანელი, მ. ჩიქოვანი... თავისთავად კი ეს ბიბლიოგრაფიული შენიშვნა გვეუბნება, რომ იმის დაწერის დროს “ვეფხისტყაოსანში” უკვე ყოფილა მე -9 სტროფი, -
“ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,
“ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგოგმანები”.
ინტერპოლატორის აზრით, “ვეფხისტყაოსანი”, ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგოგმანები, შეიძლება, კარგი იყოს “სანადიმოდ სამღერელად”, მაგრამ, რადგანაც იგი “საეროა” და არ შეიცავს სწავლას “სამების ერთარსების” შესახებ, საბოლოო განსჯის დღეს “არას გვარგებს” მეცა (ჩანს, უკვე წაუკითხავს, მაშ სული წაიწყმიდა?!) და თქვენც; ჯობია საღვთო წერილის წიგნები ვიკითხოთ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს “ვეფხისტყაოსნის” გულუბრყვილო და ზერელე მკითხველთან, რომელსაც ვერ გაუგია უბრალო რამ: რუსთველი გვიხატავს სამუსულმანო მსოფლიოს; მოქმედ პირებად გამოჰყავს მუსულმანები, ინტერპოლატორს კი სურს, რომ ავტორმა ცხადად და მკაფიოდ ქადაგოს სამებისა ერთარსობა. ჭეშმარიტად, შოთა “არარათა ნიჭთა და ზნეთა” სალიტერატუროთა “მქონებელი” უნდა ყოფილიყო, რომ აესრულებინა “კეთილმორწმუნე (sic)ინტერპოლატორის” სურვილი!

რაც შეეხება ინტერპოლატორის რწმენას, რომ საერო ნაწარმოები დაბლა დგას სასულიერო თხზულებებზეო, რომელნიც "საუკუნოს რა დღე დადგეს აღსასრულად" უფრო გვარგებს, ვინმე "ვეფხისტყაოსანიო", ეს კიდევ არ ნიშნავს "ვეფხისტყაოსნის" დევნას და აღკრძალვას: ქრისტიანისათვის (ამ სიტყვის სწორი გაგებით) სახარება (გინა მთელი ბიბლია) ყოველთვის მაღლა იდგომება, ვინემ ყველა გენიოსის ლიტერატურული ნაწარმოები! მეტსაც ვიტყვით: ბიბლიას სხვა წიგნებზე მაღლა აყენებენ არა მარტო "კეთილმორწმუნენი". **ალბერტ რევილი** (ისტორიკოს – რაციონალისტი) მოგვითხრობს: ერთ საზოგადოებაში, რომლის შემადგენლობაში ერივნენ ფილოსოფოსები და მატერიალისტებიცო, დაისვა საკითხი, ვინმე ჩვენგანს რომ მიუსაჯონ სიკვდილამდე ციხეში ჯდომა და ნება დართონ მხოლოდ ერთი წიგნის წაღებისაო, რომელ წიგნს აირჩევდითო; ყველამ ერთხმად და ურყევად განაცხადეს: ბიბლიასაო! (პროფ. პ. სვეტლოვი, ÿðèñòèãíñêîãî ãðîõ÷íèãî, კიევი, 1910, I, 110).

39) აღნიშნულ სტროფს სხვა დაბოლოებაც აქვს: "თუ უყურა მონაზონმა, შეიქმნების გაბასრულად" (resp. "გაპარსულად") ("მნათობი", 1927, N 2, I გვ. 185). ეს რედაქცია, უეჭველია, ეკუთვნის სხვა ავტორს. იგი ან ტლანქად დასცინის მონაზონებს, რომელნიც "უყურებენ", კითხულობენ, და არაიშვიათად გადასწერენ კიდევაც "ვეფხისტყაოსანს", ან კიდევ გამოხატავს ავტორის აღტაცებას "ვეფხისტყაოსანის"სიმშვენიერით და ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენით მკითხველ – მაყურებელზე, და ისეთი თქმაა (ჰიპერბოლად წოდებული), როგორიც "ცრემლმან მისმან (ასმათისმან) ქვანი

ხვრიტნა", ან "კლდენი ღარნეს" , : "ვეფხისტყაოსანის" კითხვამ შეიძლება ბერსაც კი დაატოვებინოს მონაზონობაო!

40) "მნათობი", 1927, N 2, 185; ტიმოთე წერს (მოხილვა, 154): "ხოლო უწინარეს ჩვენთა, უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი" (რუსთველისი); ტიმოთეს რომ გაეზიარებინა ზემო მოყვანილი სტროფის , მის ავტორს შეიტანდა მეცნიერთა სიაში!...

41) იქვე, "მნათობი", გვ. 199.

42) "ზეცის მთის გვირაბის იქით, ამბობს პროფ. ნუცუბიძე, რიგვედას მიხედვით, იწყება სინათლის ზეცა (div), რომელმაც ბნელი არ იცის. აქ დღე და ღამე მოხსნილია და სული, იქ ამაღლებული, მარადიულ სინათლეს ხედავს. ეს შეხედულება **მზიანი ღამის** შესახებ, რომელიც რუსთველთან გვხვდება, სინათლის მარადიულ სამყაროს ნიშნავს და ინდოეთით შემოსულია ირანულ სოფლგაგებაში " (" ტ. ს. უ. შრომები" I, 39 – 40). ასე შორს რომ ამ მოგვიხდეს წასვლა და ზეცის მთის გვირაბებში ძრომა, უმჯობესია ჩავიხედოთ იოანე ღვთისმეტყველის განცხადებაში, სადაც შემდეგს ამოვიკითხავთ: "**ქალაქსა მას** (განახლებულ იერუსალიმს) **არა უჴმს მზე, ანუ მთოვარე, რამეთუ დიდებამან ღმერთისამან განანათლა იგი და სანთელი** (ὁλύχνος, Iucerna ñÿãòèëúíèê) **მისი არს კრავი იგი** (ქრისტე)**, და ბჭენი მისნი** (ქალაქისანი) არა **დაიჴშნენ დღისი, ხოლო ღამე მუნ არა იყოს**

(21. 23 – 25). **და ღამე არა იყოს მუნ, და არა საჴმარ იყოს ნათელი სანთლისა და ნათელი მზისა, რამეთუ უფალმან ღმერთმან განანათლნეს იგინი” (22. 5).**

43) ღვთაების, როგორც ნათელის შესასწავლად პროფ. ნუცუბიძე კი ყურანზე მიგვითითებს (“ ტ.ს.უ. შრომები”, 45), მაშინ როცა ზემოთ ნაჩვენები ადგილების გარდა ეს სწავლა მოიპოვება სახ. იოან. 1. 5.8, 12; 9, 5; 2კორ. 4, 6 და სხვ.

44) ღირსია ყურადღებისა თვით თქმა: **უჟამოსა ჟამისად**, რომელიც ფრიად ენათესავება ანდრია კრიტელის (გარდაიც. 712) დიდი კანონის **ღვთისმშობლიანების, - უჟამო ძე ჟამისად შევ ღმრთისმშობელო”!**

45) გეტტინგერი, ááîëîχèჭ ȝðèñòèჭíñòȝჭ, ჟობ, 187, ÷.I, 153 -4; პროფ. ნუცუბიძე კი ამბობს: “ეს ხატად თქმა **მხოლოდ ნეოპლატონიზმის ამბავია (**ხაზი მისია), რადგანაც წინა ფილოსოფოსები, ე. ი. ძველი ბუნების ფილოსოფოსნი, მზეში პირდაპირ ღმერთს ხედავდნენ” (“შრომები”29); შეად. პროფ. კეკელიძე: “დებულება, რომ მზე ღვთაების ხატია, **ქრისტიანისზმისაგან შეითვისა ნეოპლატონიზმმა”** (“მნათობი”, 1927, ¹ 2.200). მკითხველმა რომელ პროფესორს დაუჯეროს?! ჩვენი დროის მკითხველს, ვფიქრობთ, არა აქვს დავიწყებული **ილიას** [სიტყვები] “განდეგილის” მეშვიდე თავიდან:

”ამა უბიწო დიადის ხილვით
”წარტყვევნილ იქმნა განყენებული,
”და ვით **ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას**
“შესცქერდა **მზესა** განცვიფრებული”.

46) ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, 1913, გვ. 574; ბიზანტიაში (იშვიათად სხვაგანაც) ტახტზე ასულან ქალები, მაგრამ ისინი ყოფილან იმპერატორის (ან მეფეების) ცოლები, ან ქვრივები; უკანასკნელნი, იშვიათი გამონაკლისით, მყისვე თხოვდებოდნენ და უხდებოდნენ “გზად და ხიდად” დიდებისა და იმპერატორის გვირგვინის მაძიებელ მხედართმთავრებს. თეოდოსე მეორის და. მოხუცი ქალწული პულხერია, მართალია, აიყვანეს ტახტზე, მაგრამ მაშინვე შერთეს (ნომინალურად) იმაზე უფრო მოხუცს, სენატორ მავრიკის (გარდაიც. 457), რომელიც განაგებდა იმპერიას იმპერატორის სახელით.

47) ნ. მჭðð, ýðȣíȣχðóçèíñêèȣ îȝîïèñöû, ოდა I და III. შეად. X, 11.

48) მიუხედავად “ვეფხისტყაოსნის” დაწერის დღემდე ცნობილი დატისა, რომელიც ქანაობს 1196-1412 წლებს შუა (რუსთველიანა, 135-136; პროფ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, 107-110; “მნათობი”, 1931, -7-8, 157; ბალმონტის თარგმანი VI), თინათინისა და თამარის ტახტზე ასვლის ამბავის იგივეობა საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რუსთველმა თავისი პოემის დაწერის “დაკვეთა” (შეად. პროფ. ი. აბულაძე, “ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტისათვის, “ტ.ს.უ. შრომები” I, 147-149) მიიღო დინასტიური საკითხით დაინტერესებული გიორგი მეფისაგან. შეიძლება გიორგის სიცოცხლეში დაიწერა და გამოქვეყნდა ნაწილი, თუნდაც

სტროფები, რაც გიორგი მეფისათვის სავსებით საკმარისი იყო (ეს განსაკვირველი არ არის, ვინაიდან ცნობილია, რომ "ღვთაებრივი კომედია" იწერებოდა ოცი წლის განმავლობაში, "ფაუსტი"- სამოცის წლისა, "ევგენი ონეგინი" კი ცხრა წელიწადს), ხოლო თუ "ვეფხისტყაოსანი" მთლიანად დაიწერა თამარის დროს, მაშინ პოემის დაწერა უნდა ჩაითვალოს გიორგის "ბრძანების" დაგვიანებით შესრულებად და მისი მოქმედების აპოლოგიად.
ამასთან ერთად, არ არის მოკლებული მნიშვნელობას ცნობა, რომელიც უჩვენებს "ვეფხისტყაოსნის" დაწერის დროდ თამარის "ჯერეთ ყმაწვილობას".
ეს ცნობა არის მოთავსებული "თამარიანის" კრებულის ბოლოში:
"მოხევეს ძეთა,
ჩახრუხას ძეთა
ექოთ თამარი,
მეფე წყლიანი...
ა ეს თინათინ!
ნუ ის თინათინ!
არაბეთს იყო
სულდიდიანი, -
ჯერეთ ყმაწვილი
წმიდათ ნაწილი
სამოთხის ვარდი
პირად მზიანი".
(ÐãÎïèñöè 52; რუსთაველიანა, 132-33).
აქვე აღვნიშნავთ: ამ ლექსის ავტორად პროფ. კეკელიძე თვლის თეიმურაზ მეფეს და აკუთვნებს მას თეიმურაზის ასულს თინათინს (რუსთველოლოგიური შტუდიები, "ტ.ს.უ. შრომები", III, 124-125).
49) ა. ბარამიძე: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან; I, 140. ს. კაკაბაძის სიტყვით ("ვეფხისტყაოსანი", თბილისი, 1927. XXIX-X), "ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია", "დაწერილია მე-12 საუკუნის სპარსელი პოეტის ნიზამის ზეგავლენით... ამოღებულია "ისკანდერნამედან". ვფიქრობთ საქმე გვაქვს გაუგებრობასთან: ნიზამი ქალზე პირდაპირ წინააღმდეგი შეხედულებისაა.
«gÐó÷è ìÐ÷ æÐíùèíÐ – ÞóãÐò ÿñÐæÐ
ÞÐíùèíîé òîëüêî, êÿê íÿ ëîæÐ.
ó óñòü ãÿæÐ ðÐÿÞðÐÐ ëüÿèöû îíÿ,
ðûòü æÐíùèíîé æÐùèíÿ ðîæãÐíÿ».
("თბილისის სახ. უნივერ. შრომები", V, გვ.175).

50) ქართლის ცხოვრება . საქართველოში ქალის პატივისცემა ჩანს ჯერ კიდევ წმ. ნინოს დროს.

50ა) ყურადღების ღირსია შემდეგიც. მეჩვიდმეტე საუკუნის ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტთა აზრით, ავთანდილი ქრისტიანია და მიზგითა (მეჩეთი) – ქრისტიანული ტაძარი; იხ. მამუკა თავქარაშვილის მიერ შესრულებული.

დასურათება 866 – 870 სტროფებისა. ს. კაკაბაძის "ვეფხისტყაოსანის" ტაბულა VIII: ავთანდილი ლოცულობს **ჯვრიანი** გუმბათით შემკული ტაძრის წინაშე, ტექსტში კი წერია, - "მიზგითას მივა ავთანდილ, გამარჯვებისა მთხოველი, ილოცავს..." ეტყობა, მამუკას მიზგითა ალეგორიულ თქმად მიაჩნია.

51) იქვე, შეად. მ. რ. ე æ ჭ í ჭ ø ʒ è ë è , უჭðèöჭ რჭìჭðჭ, რèëèñè, 1931, ¹ 9-10. გვ.

216.

52) რუსთველიანა, გვ. 126, "მნათობი", 1931 წ. ¹ 9 – 10. გვ. 216.

53) ჩვენ მძიმეს (,) ვსვამთ "ღმრთისაგან" – ის შემდეგ, წიანააღმდეგ ამ სტროფის **ყველა** გამომცემლისა (როგორც მთლიანად "ვეფხისტყაოსანში", ისე ცალკე – ნ. მარი, კ. კეკელიძე, ი. ეკალაძე, ა. შანიძე, ა. ბარამიძე), ვინაიდან მძიმის უადგილო ადგილას დასმით, როსტევან მეფე, შოთას სიტყვით დიდებული ადამიანი, იმდენად არის შებოჭილი დეტერმინიზმით, რომ ზნეობრივ – გონებრივად უნდა წარმოადგენდეს ისეთსავე "საფრთხობელას", როგორიც ფიზიკურად მოგვცა ლ. გუდიაშვილმა (ბ. გორდეზიანი, "ვეფხისტყაოსანის" დასურათებისათვის, "საბჭოთა ხელოვნება", ¹ 4, 86, 53 სტროფის დასურათება). ნათქვამის შემდეგ 34 სტროფის პირველი სტრიქონი ასე უნდა გავიგოთ: იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან დადგინებული, პირადად კი სვიანი... ამნაირად ესმის ეს სტრიქონი წინასიტყვაობის პირველი სტროფის მეოთხე სტრიქონის ავტორს: "მისგან (ღვთისგან) არს ყოველი ხელმწიფე " – ო, ამბობს იგი. ამნაირადვე უნდა ესმოდეს ეს სტროფი (34) იმათ, ვისაც წინასიტყაობა მიაჩნიათ რუსთველის ნაწარმოებად, - პ. ინგოროყვას, შ.

ნუცუბიძეს, კ. კაპანელს, მაგრამ... საკვირველია, რომ სტროფი სწორად აქვს რუსულად გაგებულ – ნათარგმნი ა) ნ. მარი: **ßîæüØþ ʒîëØþ** ʒ áðçʒèè ñ÷çñòëèʒî æèë ìØðæçʒíûé, ùØìðûé è ìîñòóïíûé öçðü ÷îñòØʒçí (ãñòóï. è Ø÷êë. ÷òðîôû, ʒʒII), ბ) ს. შარტის: **ºî ʒîëØ ºʒîðöç** ïðØñòçðØëûé öçðèë ÷îñòØʒçí (

ßæðñî§æ êîææ, ïæðæ§î3, ÷ßèëèñè, 1927 ñòð. 22) და გ) ßალმონტს: ßûë § აðæ§èè ïæ§ó÷èé öæðü îò ßî¯æ... ÷îñòæ§æí (გამოცემა აკადემიისა, მოსკოვი. 1936). ß. ÷ეტრენკოს თარგმანი, თუმცა უახლოვდება დედანს, მაგრამ მაინც ვერ არის სწორი: ÷îñòæ§æí ßûë öæðü æðæßñêèé, ßðîææé ìèëîñòüþ ððæíèë ("ლèòæðæòóðíîæ ßæêæ§êæçüæ». 1935. I, 29).

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სასვენ ნიშნებზე "ვეფხისტყაოსანის" არსებულ გამოცემებში არ არის მიქცეული ¯ეროვანი ყურადღება, რის გამო ზოგიერთი სტროფები პირდაპირ უაზრობას (მეტი რომ არ ვთქვათ) წარმოადგენენ. მაგალითად: რამაზ მეფისაგან წარმოგზავნილი ერთ – ერთი მოციქული აფრთხტდლებს ტარიელს, ხატაელთა

"მეფე ცოტად მოგეგებვის, ვის მჭვრეტნი ვერ გელევიან,

"მალვით ჩაიცმენ აბ¯არსა, მიენდო მით გეთნევიან,

"**კვამლსა შეიქმენ ლაშქარნი,**ყოველგნით მოგეხვევიან"...

ჩუბ. 431, კარიჭ. 420, აბულაძე 349, კაკაბ. 422, ქართველ. 94 გვ.) გამოდის, რომ კვამლსა შეიქმენ ლაშქარნი, რომელთა რიცხვი "ასე¯ ათასი" მაინც არის, და ამ კვამლით უნდა ამოახრჩონ ტარიელი ამალით და ხატაელთა მეფეც "ცოტა" მხლებლებით! სინამდვილეში კი "კვალსა შეიქმენ" საგანგებოდ დაყენებული რამდენიმე კაცი, და ანიშნებენ ლაშქართ, დროა, შემოეხვიოთ ტარიელსა და ხატაელთა მეფეს და ამ უკანასკნელმა და მისმა მხლებლებმაც "მალვით ჩაცმული აბ¯არი" ცხადად გამოიყენონო! ყოველივე ეს დასტურდება 486/444 სტროფით:

"რა მივიდა მოციქული, კვლამცა რადღა გამოგზავნეს!

"კვამლი შექმნეს ლაშქართათვის, დამალული გაამ¯ღავნეს!

"სამალავით გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავნეს,

"შექმნეს რაზმნი მრავალკეცნი, თუცა, ღმერთო, ვერა მავნეს!"

54) ა. ßარამიძე გვეუßნება: "ვეფხისტყაოსნის" ფაßულურად სპარსული წარმოშობა ჩვენ უდაოდ მიგვაჩნია" (op. cit. 131), ხოლო იუსტინე აßულაძე გვა¯ერებს, რომ "პოემის სიუ¯ეტი, ანუ, უკეთ, ფაßულა (არაკი) წარმოადგენს მტკნარი არაßულ – ირანული მაჰმადიანური მოთხრობის აშკარა ნაშთს (" ტ. ს. უ. შრომები" 1, 149). მ. ჩიქოვანის სიტყვით კი (ხალხური ვეფხისტყაოსანი, 57) " ეს ამßავი სპარსული" არ არის ირანული, არც არაßული, არც ინდური წარმოშობისო. ის შოთას არსაიდან არ უსესხეßია, არც გადმოუქართულეßია, არმედ თვით საქართველოში

არსებობდა, ქართულ ნიადაგზე წარმოშობილი და ის გამოიყენა (იხ. იქვე 46, 49, 54, 56, 63 და 68). ამ სახედ მაგრდება პროფ. კეკელიძის პოზიცია, - "ვეფხისტყაოსანი" ნამდვილი ორიგინალური ნაწარმოებია" –ო, ამბობს იგი (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 119, 140 – 141).

"ვეფხისტყაოსანის" ფაბულის ძებნას ბევრი დრო და ენერგია უნდება მოაქამომდე, <u>თავისთავად ფაბულას მხატვრული ნაწარმოებისთვის მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს. ამ სიტყვის ცხადსაყოფელად, შეადარეთ აკაკის "ბაში -აჩუკი", მორდოვცევის "უმანსკაია რეზნია" და ჯეკ ლონდონის მოთხრობა (სახელი არ გვახსოვს), სადაც ჩრდილო ამერიკის ველურების ხელში ტყვედ ჩავარდნილია რუსი "ივან ბოლშოი", წმინდა ევფრასია (იანვრის 19) ცხოვრებასა და დარწსუნდებით, რომ ამ თხზულებათა ფაბულა ერთი და იგივეა:</u> ქალწულების დაცვის მიზნით, ევფრასია ეუბნება "ბარბაროზს" – მე გრძნეული ვარ, ჩემზედ მახვილი არ მოქმედებსო, ბარბაროსიც იჯერებს ნათქვამს და ხმლის ერთი დაკვრით ასალმებს ქალწულს წუთისოფელს. პირმთვარისა, ებრაელი ქალი (რომელსაც არ სურს ქრისტიანობის მიღება) და ივან ბოლშოი ასევე იქცევიან. მაგრამ "ცხოვრება" და აღნიშნული მოთხრობები ერთგვარი მხატვრული ღირსებისანი არიან ? ამასთან, მოთხრობები გარდა ამ ერთი მომენტისა, გვანან რითიმე ერთიმეორეს ? შეადარეთ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის განდეგილი ღირსს მარკიანეს (ხსენება მისი იანვრის 18 და გიორგობისთვის 2).

55) აქ უნებლიეთ გვაგონდება ვლადიმერ სოლოვიოვის ერთ – ერთი "სააღდგომო წერილი", სადაც ფილოსოფოსი – ქრისტიანი ამბობს: მარიამ მაგდალინელი, სანამ იპოვიდა ქრისტეს, განიცდიდა შვიდთა ეშმაკთა (ლუკა. 8,2) ხელმწიფებასო («ÿØðê. gØƷîìîñòè», 1914 წ. 753). ნესტანის სულიერი განწყობილებაც ხომ სწორედ შვიდთა ვნებათა კონას წარმოადგენდა იმჟამად ! ა. ბარამიძის აზრით კი (ნარკვევები, 140), - "ნესტან – დარეჯანი – **უსათუთესი** და **უგონიერესი დედაკაცია,** ამ სქესის **უკეთილშობილესი** და **უიდეალესი** სახეა უცილობრივ "ვეფხისტყაოსანიში". ვერ გაგვიგია, ნათქვამი კალმის ლაფსუსი არის, თუ ?!.

56) "მნათობი", გვ. 185.

57) ერთადერთი "საქმე" რომელიც გაკეთდა ტარიელის ინიციატივით, ეს იყო ავთანდილისა და თინათინის დაქორწინებისათვის აჩქარებული ზომების მიღება, რამაც გამოიწვია ავთანდილის მხრივ დაცინვა, ხოლო როსტევანის –საყვედური. ტარიელმა მიუგზავნა ავთანდილს ფრიდონი წინადადებით:

"ვარჩევ, წავიდეთ არაბეთს, იყავ ჩემიცა მარები...

თუ შენ შენს ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარები.

რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა,

მას გაეცინნეს, გაღიმდა, შვენობა მხიარულობა;

თქვა თუ: მეშველი რად მინდა, მჭირს არავისგან წყლულობა.

ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს, არცა სჭირს ლხინთ ნაკლულობა...

არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა,

მასზედა შველა რად მინდა, რად მეჭვ რასაცა თნებითა"

მიუხედავად ასეთი პასუხისა, ტარიელმა თავისი არ დაიშალა და როდესაც მივიდნენ როსტევან მეფესთან, გაუმჟღავნა მას:

"თქვენთა უყვარს ერთმანერთი, ქალი მას და იგი ქალსა,

მით ვიგონებ საბრალოსა, მტირალსა და ფერნამკრთალსა",

და მოიქცა ისე, რომ "გაუკვირდა ყოვლსა კაცსა:

ამოიღო ხელმანდილი, მოინასკვა ზედა ყელსა,

ადგა მუხლნი მიუყარნა, ეაჯების ვითა მზრდელსა.

რა ტარიელ მუხლმოყრილი ნახა, **მეფე შეუზარადა,**

შორს უკუდგა, თაყვანისცა, ქვე მიწამდე დაუვრდა,

მოახსენა: ხელმწიფეო, **ლხინი ყოვლნი უკუქარდა,**

თქვენმა ასე სიმდაბლემან **ნახვა თქვენი ჩამადარდა! "**

58) "მნათობი", იქვე, 187. კ. კაპანელისავე სიტყვით, "რუსთველის ყველა ტიპს აქვს **სრულყოფილი ესთეტიური გამოხედვა",** რასაც ჩვენ სავსებით ვიზიარებთ, ვეჭვობთ, ამ "გამოხედვას" ჰქონდეს რაიმე საერთო "სქესობრივ სიმთვრალესთან და სულიერ ლოთობასთან ?! (იქვე, 186). ცოტა ქვემოთ (190) კაპანელი ამბობს: "ადამიანის უდანაშაულო წვალება და წუხილი აწერილია რუსთველური გაშლით და მეტყველების უდიდესი მარაგით მთელს პოემაში". ვფიქრობთ, აქ მარტო კალმის ლაფსუსთან არ უნდა გვქონდეს საქმე, - ნესტანი და ტარიელი უდანაშაულოდ წვალობენ ?! <u>რაც შეეხება თანაგრძნობას ნესტან – ტარიელის "ტანჯვისა და წვალებისადმი",</u>

ამაზედ უნდა ითქვას: ტანჯვა და წამება მაშინ ხდის ამა თუ იმ პირს თანაგრძნობის ღირსად, როდესაც ეს ტანჯვა და წამება მიყენებული აქვს ადამიანს მასზე დამოუკიდებელი, მის გარეშე მოქმედი ძალებისა და მიზეზებისაგან (იობი, ჰამლეტი) და არა მაშინ, როდესაც ის არის შემდეგი მისი საკუთარი ბოროტი თუ მოუფიქრებელი მოქმედებისა (მეფეები დავითი, ლირი). უკანასკნელ შემთხვევაში, გმირი ხდება სიმპათიის საგნად მხოლოდ სინანულისა და გასწორების გზაზე დადგომის შემდგომ.
59) იქვე, 178.
60) თინათინის სურვილი ტარიელის მოძებნისათვის, უბრალო ახირება და ჟინიანობა არ არის: პირველ ყოვლისა, მას სურს მამის დამშვიდება არა დროებით (125 - 126), არამედ სამუდამოდ. და ეს სურვილი გამოწვეულია როგორც შვილებრივი მზრუნველობით, ისე სახელმწიფოებრივი ინტერესით, - ფაქტიურად როსტევანი განაგებდა სახელმწიფოს; აღელვებული კაცი კი სახელმწიფოს კი არა, ოჯახსაც ვერ მოუვლის ხეირიანად. ეს შეგნებული ჰქონდა თინათინს. ხ ო ლო როსტევანს რომ აღელვებდა და აწუხებდა ტარიელის "ნახვა" და უკვალოდ დაკარგვა", ეს

ჩანს ს ტ რ ო ფ ი დ ნ: როსტევანმა ცნა რა ტარიელის პოვნის ამბავი,
"ბრძანა: ვცნა ჩემი ღმრთისაგან
სააჯო და სათხოველი" – ო.
მეორის მხრით, თინათინს უნდა თავისი თავიც დაიმშვიდოს* და ჭირში მყოფ ადამიანსაც, ტარიელს, დაეხმაროს. ის ეუბნება ავთანდილს:
"მაგრამ გითხრობ პირველ ხვალმე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად...
"გახსოვს, შენ და როსტევანსა მინდორს მხეცი დაგეხოცა,
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა,
მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა,

"შენ გენუკი მონახვასა, კიდით კიდე მოლახო ცა" .

61) თინათინის "ვეფხისტყაოსანის" მთავარ დადებით გმირად მიჩნევით, საკითხი "ვეფხისტყაოსანის" გაგრძელების შესახებ, თავისთავად იხსნება: ტარიელის და ნესტანის

[1] 4499 ხელნაწერიდან, რომელიც მოსდევს ს ტ რ ო ფ ს და რომელიც ამბობს: "მაგრა თინათინ **დაჭმუნდა** გულითა გონიერითა" 18. შოთა რუსთაველი

ქორწილის გადახდა უკვე მესამედ (პირველად გადაიხადა ზღვათა ხელმწიფემ

, მეორედ ფრიდონმა დ ავთანდილის მიერ ლაშქრით მათი გაცილება

უნდ ჩაითვალოს, ერთის მხრით, ზრდილობის აქტად, ხოლო მეორის, -
-ავთანდილის ადრინდელი (1546 - 49) გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად (შეად. ს. კაკაბაძე: "ვეფხისტყაოსანი", თბილისი, 1927. XII).
კ. ჭიჭინაძის სიტყვები, - "უეჭველია, რომ "ვეფხისტყაოსანში" უმთავრესად ინდოეთის ამბავია აღწერილი; არაბეთი იქ არის, როგორც ერთი მთავარი ეპიზოდი მხოლოდ (XV), - გამოწვეულია მე – 6 და მე – 7 სტროფის რუსთველისად ჩათვლით და მათი ზეგავლენით; სინამდვილეში კი "ერთ მთავარ ეპიზოდად" უნდა ჩაითვალოს არა არაბეთის ამბავი, არამედ

"ინდოეთის ამბავი". "ვეფხისტყაოსანში" სტროფში ჩვენს (მკითვხველების და მოქმედებათა განვითარების მოწმეების) წინ წყლისა პირას ზის **მტირალი** მოყმე; ცხადია, "ინდოეთის ამბავი" (**ἡ ἱστορία**) უკვე განვლილია, წარსულია, ექვსი წლის (705) მკვდარია. ეს უცხო მოყმე ასე მწარედ რომ აუტირებია. ამ ცოცხალ ჭირისუფალს კი ესაჭიროება დახმარება, შემწეობა, ტირილისაგან განთავისუფლება; მაგრამ იგი

დაიკარგა . იწყება როსტევანის დაღრეჯილობა, თინათინის დაინტერესება და მის მიერ ზომების მიღება დაკარგული მოყმის მოსაძებნად. აქ **იკვანძება** მოთხრობა: მოძებნის ავთანდილი ტარიელს? გაიგებს მისი ტირილის მიზეზს ? დასდებს წამალს მის ძველსა, მაგრამ

მეტად მწვავე წყლულს (თინათინის საუცხოო თქმაა ავთანდილი ? დაბრუნდება მშვიდობით თინათინის მიჯნური? შეისრულებენ საკუთარ გულისწადილს თინათინი და ავთანდილი ? აი მთავარი საკითხები! "ინდოეთის ამბავი" (რომლის დასასრული ნესტანის დაკარგვით ატირებული მოყმე – ჩვენ უკვე ვნახეთ) შედარებით წვრილმანია და საჭიროა იმდენად, რამდენად საჭიროა მკურნალისათვის ავადმყოფობის დასაწყისი და მიმდინარეობა მის წინაშე მდგომარე პაციენტისათვის წამლის გამოსაწერად. ხოლო, თუ ეს წვრილმანი "გაღელვებთ, გატოკებთ, გახალისებთ" (კ. კაპანელი, გვ. 140), - ეს დააბრალეთ რუსთველის სიტყვა – ხელოვნებას, იმ რუსთველისას, რომელსაც, კაპანელისავე სიტყვით (იქვე), "თქმისა და გააზრების მოხერხებაში ვერავინ შეედრება მსოფლიო ლიტერატურაში. რუსთველის შემოქმედება იმის დამადტკიცებელია, რომ ხელოვნებაში, განსაკუთრებით ლიტერატურაში, ლაპარაკობენ არა მარტო სახეები, არამედ მეტყველების რიტმი და პოეტური ტექნიკის კომპლექსი"... ამისთვის, ვიტყვით კ. ჭიჭინაძის ენით: "რაკი "ვეფხისტყაოსანის" ამბავი

იწყება არაბეთში" (მტირალი უცხო მოყმეც ხომ არაბეთში "ნახეს"), იგი ამბავი არაბეთშივე "უნდა დამთავრდეს!"

მიუხედავად იმისა, რომ "ვეფხისტყაოსანის" "ძირითად ღერძად" მ. ჩიქოვანსაც ტარიე – ნესტანის თავგადასავალი მიაჩნია, მან პირველმა მიაქცია ყურადღება "ავთანდილ – თინათინის სიყვარულის ამბის დამოუკიდებლობას და ავთანდილის ამბის" პირველობას, და გვპირდება ამის შესახებ თავისი "დასაბუთებული აზრის შემდეგში წარმოდგენას. სასიამვნო დაპირებაა!

მასვე აქვს აღნიშნული, რომ მის მიერ ლეჩხუმში ჩაწერილი ხალხური "ვეფხისტყაოსანის" ვარიანტით პოემის "მთავარ ხაზს" ავთანდილის (ხენწიფის ნაშვილების) თავგადასავალი წარმოადგენს, ტარიელის ამბავს კი მეორე ადგილი უჭირავს" (ხალხური ვეფხისტყაოსანი, 62 – 63, 133 – 139). ყურდასაღებია!